P.S.

თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“

„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!“

ქუთაისის „პატიოსანი და წარუმატებელი“ მერი

იხილეთ მე-3 გვერდზე



უუფლებო მუშახელი

ანუ „მილიონი ახალი სამუშაო ადგილი“ ახლებურად

იხილეთ მე-6 გვერდზე

№ 22 (672) 9 -15 სექტემბერი, 2013 | გამოდის 1995 წლიდან | ფასი: 70 თეთრი | PSnews.ge

ეწვიეთ გაზეთ „P.S.“-ის განახლებულ საინფორმაციო ინტერნეტპორტალს www.psnews.ge-ს, ყოველდღიურად იკითხეთ ცხელ-ცხელი ამბები და იყავით ინფორმირებული!

წინასაარჩევნო ცხელება ქუთაისში

ქუთაისში წინასაარჩევნო ვნებათაღელვა ჯერ არ დაწყებულა. მიუხედავად იმისა, რომ საპრეზიდენტო არჩევნებამდე მხოლოდ თვენახევარი რჩება, პოლიტიკური პარტიების ადგილობრივ შტაბებში სრული მდუმარეებაა. არ ტარდება მოსახლეობასთან შეხვედრები, პარტიები არ გამოთქვამენ ამომრჩევლებისთვის თავიანთი პროგრამის გაცნობის სურვილს, შტაბები უარს ამბობენ წინასაარჩევნო დაპირებების გაცემასა და პიარის ტექნოლოგიების გამოყენებაზე...

პარტიათა ნაწილს ამ დრომდე არ ჰყავს შტაბის ხელმძღვანელი, ნაწილი კი ჩამოუყალიბებელი სამოქმედო გეგმის გამო მედიასთან ურთიერთობაზე უარს ამბობს.

შტაბის ხელმძღვანელი ამ დრომდე არ აურჩევია „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“. პარტიის ოფისში, რომელიც ბოლო რამდენიმე წელია ქალაქის ისტორიულ უბანში ფუნქციონირებს, ამბობენ, რომ შტაბში ყველა უფროსია.

ნინო ბურჯანაძის ოფისში კი, სადაც ხელმძღვანელი რამდენიმე დღის წინ დაინიშნა, გახორციელებულ და მიმდინარე აქტივობებზე არ საუბრობენ და აცხადებენ, რომ ვითარებაში გასარკვევად დრო სჭირდებათ.

„იმ კვირამდე ვერაფერს გეტყვით, რადგან ბოლომდე ჩამოყალიბებული არ ვართ. გავერკვევით სიტუაციაში და მერე ვნახოთ,“ — ამბობს ბურჯანაძის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი **ივლიანე ნაჭყებია**.

ვითარებაში გასარკვევად საკმარისი დრო ჰქონდა „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატის შტაბის ხელმძღვანელს მანანა მიქაძეს, თუმცა, იგი ამჟამად ქვეყანაში არ იმყოფება, მის გარეშე კი შტაბის წარმომადგენლობა ინფორმაციის გაცემაზე კატეგორიულ უარს ამბობს.

„მე რომ თქვენთან მოვიდე და თქვენს ნაცვლად მეზობელი დამხვდეს, მას ხომ არ დაველაპარაკები?“ — გვითხრა შტაბის ერთ-ერთმა წევრმა.

გაგრძელება მე-2 გვერდზე

წყალტუბოში მცხოვრები დევნილები ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს სიცრუეში ადანაშაულებენ

„P.S. ფოტო“ (ნესტან ჩაგელიშვილი) ©

სამინისტრო კი ბრალდებებს უარყოფს

წყალტუბოში, სასტუმრო „თბილისში“ მცხოვრები დევნილები ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მათ მოტყუებასა და დაცინვაში ადანაშაულებენ. როგორც ისინი აცხადებენ, სამინისტროში, ახლადგარემონტებულ ბინებში გადასვლისას, მათ სულადობრივ რაოდენობას არ ითვალისწინებენ და 10 წევრიან ოჯახსაც კი სამოთახიან ბინებს სთავაზობენ. ფართების სიმცირის გამო რამდენიმე ოჯახმა შეთავაზებულ ბინაზე უარი განაცხადა, როგორც თავად აღნიშნავენ, მათ გაცილებით იმაზე ცუდ პირობებში გადასვლას სთავაზობენ, ვიდრე ახლა უწევთ ყოფნა.

სასტუმრო „თბილისის“ შენობაში ამჟერად აფხაზეთიდან დევნილი 40-მდე ოჯახი ცხოვრობს.

ქალაქის განაპირას მცხოვრები, ყველასგან მივიწყებული დევნილები ამბობენ, რომ აღარავისი სჯერათ, რადგან მათი არსებობა მხოლოდ მაშინ ახსენდებათ, როდესაც თავად სჭირდებათ დევნილები.

იამზე ალასანია, აფხაზეთიდან დევნილი: „აღარავისი გვჯერა, იმედი გვქონდა, რომ ერთხელ მაინც ვეღირსებოდით საკუთარ ბინას და საკუთარ საწოლს, მაგრამ — ტყუილად. სასაცილო ფართები დაურიგეს მოსახლეობას. ექვსსულიან ოჯახს სამოთახიანი ბინა მისცეს. სამი ოთახი კიდევ კარგად ჟღერს, ეს ოთახები ისეთი მცირე ზომისაა, სამი-ოთხი ადამიანი რომ დაჯდეს, ადგილი აღარაა. ამ სამ ოთახში შედის მისაღებიც და სამზარეულოც. როგორ უნდა დაეტიოს ექვსი ადამიანი იქ? სტუმარი ვერ მიუღია ადამიანს.

გაგრძელება მე-2 გვერდზე

„მესიების მისიის დასრულება“

რატომ აპირებს პოლიტიკიდან წასვლას ივანიშვილი

იხილეთ მე-2 გვერდზე

ქუთაისის მერიაში არსებული 48 ვაკანტური პოსტის დაკავება 1000-ზე მეტ აპლიკანტს სურს

იხილეთ მე-4 გვერდზე

გათავისუფლებულ თანამშრომელთა ბრალდებებს ბაგა-ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელი უსაფუძვლოს უწოდებს

იხილეთ მე-3 გვერდზე

უმეთვალყურეოდ დარჩენილ სასაფლაოებზე პირუტყვი ბალახობს

იხილეთ მე-4 გვერდზე

ქუთაისში სტომატოლოგიურ დაწესებულებათა დიდი ნაწილი ლიცენზიის გარეშე მუშაობს

იხილეთ მე-4 გვერდზე

ქიმერიონი
qimerioni.ge
წიგნების მაღაზია
მისამართი: ქუთაისი, „პოპული“; ტელ.: 790 927 927.

წიგნები შენ გელოდება!
ქუთაისი, საავტო ცენტრი „პოპული“, წიგნების მაღაზია „ქიმერიონი“. ტელ.: (790) 927 927.

PSnews.ge

ISSN 1987-7056



ლიმონებით მოვაჭრე ბიჭი

14 წლის ბაჩუკის იმედად დარჩენილმა ექვსსულიანმა ოჯახმა სოციალური დახმარება ვერ მიიღო

იხილეთ მე-5 გვერდზე

აფხაზური დღიურები

ჩემი თეთრი მამიდა

იხილეთ მე-10 გვერდზე

რეკლამა — გვ. 7

დაფინანსებული ფართი — გ. 9

„მესიების მისიის დასრულება"

რატომ აპირებს პოლიტიკიდან წასვლას ივანიშვილი



ბიძინა ივანიშვილი

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, საპრეზიდენტო არჩევნების წინ, პოლიტიკიდან წასვლის შესახებ დააანონსა. ბიძინა ივანიშვილი ხელისუფლებიდან წასვლაზე პოლიტიკაში შემოსვლისთანავე საუბრობდა, თუმცა, მოკლე დროში პოლიტიკიდან წასვლაზე საუბარი, თან საპრეზიდენტო არჩევნების წინ, ნამდვილად მოულოდნელი აღმოჩნდა საზოგადოებისათვის.

ივანიშვილის პრემიერ-მინისტრობიდან წასვლის მოტივის ძირითადი არსი ასეთია — ის სამოქალაქო საზოგადოებას გააძლიერებს და თავისივე შექმნილ მთავრობას გააკონტროლებს.

„მე მოვედი ხელისუფლებაში იმიტომ, რომ დამეცვა საზოგადოება და ეს წარმატებით მოვახერხეთ კიდეც იმით, რომ დღეს ხელისუფლება ყველა წინამორბედზე უკეთესია და საზოგადოებაც ყველაზე მეტად დაცულია ხელისუფლების თვითნებობისაგან. მაგრამ საზოგადოება არ უნდა იყოს ხელისუფლების კეთილი ნების იმედად და მუდმივად მხსნელისა თუ მესიის მოლოდინში," — ამბობს **ბიძინა ივანიშვილი** ღია წერილში, რომელიც საკმაოდ ვრცელია. „ექსპო ჯორჯიაში" გამართულ პრესკონფერენციაზე კი წასვლის განზრახვა პრემიერმა კიდევ ერთხელ დაადასტურა და განაცხადა, რომ „ჯერ ვერავინ მისი პოლიტიკიდან წასვლის ერთი რეალური მინუსიც კი ვერ დაასახელა."

„ჩემი მისიაა მესიების მისიების დასრულება საქართველოში. ამისათვის კი არსებული მესიის დამარცხება არ არის საკმარისი, – აუცილებელია იმის უზრუნველყოფაც, რომ თავადაც მესიად არ ვიქცე. ამიტომ მე უნდა წავიდე სწორედ ახლა," — მიიჩნევს პრემიერი.

„პოლიტიკურ სცენას ჩემს გუნდს ვუთავისუფლებ და ის, რაც შესაძლებელი იყო ჩემი მხრიდან, გავაკეთე. ძალიან ბევრი განიცდის შიგნითაც, ბევრს არ მოსწონს. უსუფაშვილთანაც ბოლომდე ვერ მოვრჩი პოლემიკას. ჯერ ვერც ერთმა ვერ დამისახელა და, მათ შორის — ვერც უსუფაშვილმა, ერთი რეალური მინუსიც კი ჩემი წასვლისა. მე რასაც ვხედავ, სულ პლიუსებია. ჩემი წასვლა ძალიან დროული იქნება. თან მე გადავდივარ უფრო დიდ სექტორში. ვიქნები აქტიური და საზოგადოებას ანალიზში დავეხმარები," — განაცხადა ივანიშვილმა. წასვლის კონკრეტული თარიღი მას არ დაუსახელებია, თუმცა თქვა, რომ „თუ კოალიცია „ქართული ოცნების" პრეზიდენტობის კანდიდატი საპრეზიდენტო არჩევნებში ვერ გაიმარჯვებს, ის პრემიერის პოსტს უფრო სწრაფად დატოვებს."

ივანიშვილის წასვლაში მოულოდნელ სიახლეს ვერ ხედავს ფილოსოფოსი ზაზა ფირალიშვილი, რომლის თქმითაც, ივანიშვილი თავიდანვე ერთნახევარიორი წლით განსაზღვრავდა პოლიტიკაში თავისი ყოფნის ვადას.

გაგრძელება **მე-4 გვერდზე**

წინასაარჩევნო ცივება ქუთაისში

პირველი გვერდიდან

უჩვეულო წინასაარჩევნო ვითარებაზე საუბარი მხოლოდ „ხალხის პარტიის" საპრეზიდენტო კანდიდატის — კობა დავითაშვილის შტაბში ისურვეს. შტაბის ხელმძღვანელი ვარლამ ფხაკაძე გამორჩეულად პასიურ წინასაარჩევნო პერიოდს პოზიტიურ მოვლენას უწოდებს და ამბობს, რომ ყოფილი ხელისუფლების დროს ჩატარებული არჩევნებისგან გასხვავებით, ეს არჩევნები მშვიდი და ნაკლებ ემოციური იქნება. ფხაკაძე საკუთარი კანდიდატის შანსებს მაღალ შეფასებას აძლევს, თუმცა, უალტერნატივო კანდიდატად გიორგი მარგველაშვილი მიიჩნია.

„ჯერჯერობით სიმშვიდეა. რატომღაც, არ აქტიურობენ პარტიები, რაც, უდავოდ, ბატონი ბიძინას დამსახურებაა. ალბათ, რამე დავალებაც არის, თუმცა, ძალიან კარგია, რომ არ იქნება ის სიბინძურეები, რაც სააკაშვილის დროს იყო. ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა დადგეს დრო, როცა ცივილურ გარემოში ვიდებატებთ? ამ ეტაპზე არც ჩვენი შტაბი არის ჩართული აქტიურ კამპანიაში, მაგრამ დავიწყებთ აუცილებლად ხალხში გასვლასაც. არჩევნებში ჩვენი მინიმუმი არის ის, რომ 10%-იან მაჩვენებელს მივაღწიოთ, თუმცა, ვფიქრობ, გიორგი მარგველაშვილი უალტერნატივო კანდიდატია," — ამბობს **ვარლამ ფხაკაძე**.

2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებამდე სულ უფრო ცოტა დრო რჩება, თუმცა, როგორც არაოფიციალურ საუბრებში შტაბების წარმომადგენლები ამბობენ, წინასაარჩევნო კამპანია, სავარაუდოდ, პასიურ და მშვიდ გარემოში ჩაივლის, რათა პრეზიდენტობის ყველაზე რეიტინგული კანდიდატები არ გადაიფარონ.

მარი პატარაია

მთავარი რედაქტორი:
ნატო გუბელაძე

რედაქტორი:
ნანული ცხვედიანი

დიზაინი: ირმა ბახუტაშვილი

ოპერატორი და კორექტორი:
ლალი კუპრაშვილი

რეკლამის მენეჯერი:
ლელა თოლორდავა

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება,
არ ემთხვეოდეს რედაქციისას.

® — ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე

გამომცემელი — შპს „P.S."
(„პოსტსკრიპტუმი").
ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია
№5/ბ-1401

გაზეთ „P.S."-ის კლასიფიკაციის კოდი:
UDC (უაკ) 3+32] (479.22) (054)
პ - 658
P - 86

მისამართი: ქუთაისი. რუსთაველის გამზირი №37ª. პრესის სახლი.

- (032) 2 422 470, (0 431) 24-45-46.
- psnews27@gmail.com
- www.psnews.ge

წყალტუბოში მცხოვრები დევნილები ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს სიცრუეში ადანაშაულებენ

სამინისტრო კი ბრალდებებს უარყოფს

პირველი გვერდიდან

საკუთარ შვილთან ვერ მივსულვარ იმის გამო, რომ დასაწოლი ადგილი არ აქვს. ესაა ცხოვრება? ხომ შეიძლება, ვინმე ჩვენი პრობლემებით დაინტერესდეს. სუბელიანი იყო მოსული, სანამ მინისტრი იყო, მაგრამ დახმარების ნაცვლად — დაგვცინოდა და შეურაცხყოფას გვაყენებდა. სამწუხაროა, რომ არც ახლაა უკეთესობა. ან ეს სასტუმრო გაგვირემონტონ, ანდა, ნორმალურ ბინაში ერთად გადაგვიყვანონ. ამდენი წელიწადია, ერთად ვცხოვრობთ და აღარ გვინდა, ყველაფერი თავიდან დავიწყოთ."

ნორა ჩალაძე, აფხაზეთიდან დევნილი: „დაგვცინიან დევნილებს, ის ფართები, რასაც ჩვენ გვაძლევენ, სასაცილოა. არ აინტერესებთ, როგორ იცხოვრებს მთელი ოჯახი ერთად, ამხელა სახლები დავტოვეთ და აქ ნორმალური ორი ოთახიც არ ემეტებათ. ერთი ადამიანი რომ მოკვდა და „ლედნიკი" ესვენა, „კრუგი" ვერ დავარტყით, ისეთი პატარა ოთახებია, გარედან ვუყურებდით მიცვალებულს. ისე გვიკეთებენ, რომ მონაცვლეობით დავიძინოთ. დედა, მამა, შვილები, ბებია და ბაბუა ერთად უნდა დაწვნენ? მოვიდნენ, გვკითხონ — ჩვენ რა გვინდა და იმის მიხედვით გადაწყვიტონ ჩვენი ბედი. რა საცხოვრებელია, აბანო რომ არ ექნება?"

ნინო, აფხაზეთიდან დევნილი: „რამდენი ხანია, ვითხოვთ ამ კითხვაზე პასუხს და ვერ მიგვიღია. სოციალური დახმარება ვისაც ენიშნება, რატომ ერთმევათ დევნილობის თანხა, რა, სოციალურად დაუცველი თუ ვარ, დევნილი აღარ ვარ, თუ რა გამოდის? რა შუაშია ერთი მეორესთან, სოციალური დახმარება ხომ იმიტომ მეძლევა, რომ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ვცხოვრობ, ხოდა, თუ ასეა, იმ 22 ლარსაც რატომ მართმევენ? სუბელიანს რომ ვკითხეთ, სულ გაუზრდელები გვეძახა. სამინისტროსგან მოვითხოვთ, წარმოადგინონ საბუთები, დარიგებული ფართების დეკლარაცია რამდენ სულზე იყო შევსებული და რამდენ სულზე გაიცა? ახალი ბინა რომ მიიღო, აუცილებელია, მიხვიდე და განცხადება დაწერო. კარგი, ახალგაზრდა მივა, მაგრამ მარტოხელა მოხუცები, რომ არიან და მისვლას ვერ ახერხებენ, იმითთან თვითონ არ უნდა მოვიდნენ? მაგრამ საქმე ისაა, რომ არავის ვაინტერესებთ. არც სამინისტროში და არც ბიუროებში დევნილების მხარდამჭერი არავინ ზის, დევნილთა სამინისტრო დევნილების მტერია. ავჩალკებივით გვიბღვერენ იქიდან და ხმის ამოღების საშუალებას არ გვაძლევენ, აქაც ერთ ოთახში ვცხოვრობთ და იქაც თუ იგივე ფართები მოგვცეს, რა აზრი აქვს?! ძიშას დროს იყო და, გვაიძულებდნენ — ან ფოცხოეწერში გადავსულიყავით საცხოვრებლად, ანდა ფოთში. ახლა ამ ვითომდა გაკეთებულ ბინებში გვიშვებენ. სველ კედლებში შეუშვეს და დააავადმყოფეს ხალხი. ომში დავკარგეთ: ახლობლები, სახლი, ჯანმრთელობა და ელემენტარული ყურადღების ღირსნი არ ვართ?"

ამ დროისათვის წყალტუბოს რაიონში დევნილებისათვის ორი ობიექტი გარემონტდა, ამათგან — ყოფილი სტატისტიკის შენობა 17 ოჯახზე და საავადმყოფოს შენობა 40 ოჯახზეა გათვლილი, სამინისტროს ინფორმაციით, წყალტუბოში დამატებით 5 ობიექტის აშენება იგეგმება, თუმცა, დევნილთა განცხადებით, აღნიშნული ფართები საკმარისი არ არის და, სწორედ ამიტომ, ყველა ოჯახს შემცირებულ ფართებს ურიგებენ.

***

წყალტუბოში მცხოვრები დევნილების პრობლემებსა და ბრალდებებზე კომენტარისათვის გაზეთი „P.S." ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაუკავშირდა. ჩვენს შეკითხვებს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი **ეკა გულუა** პასუხობს:

— საცხოვრებელი ბინების განაწილება უსამართლოდ და კანონდარღვევით რომ არ მომხდარიყო, სამინისტრომ არასამთავრობო სექტორთან, პარტნიორ და დონორ ორგანიზაციებთან ერთად შეიმუშავა საცხოვრებელი ბინების განაწილების კრიტერიუმები. ეს გახლავთ საჯარო დოკუმენტი, რომელიც მკაცრად განსაზღვრავს ყველა პროცედურას (კრიტერიუმებთან დაკავშირებით სრული ინფორმაცია განთავსებულია სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე. ასევე, კრიტერიუმები გამოქვეყნებულია საკანონმდებლო მაცნეში და 9 აგვისტოდან ის არის ნორმატიული აქტი).

უზუსტობის გამოსარიცხად დევნილი თავად მონაწილეობს პროცესში. ასევე, ბინების განაწილება ხდება სამსაფეხურიანი კომისიის ჩართულობით, რომლებიც ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მუშაობენ. **პირველი საფეხური** გულისხმობს დევნილთან ერთად ანკეტების შევსებას და მიღებას; **მეორე საფეხური** — მიღებული ანკეტების შეფასებას; **მესამე საფეხური** კი შეფასებული ანკეტების გადამოწმებას დევნილის საცხოვრებელ ადგილზე მისვლით. აღნიშულის შემდეგ, სპეციალური კომისია შევსებულ ანკეტებს ანიჭებს ქულებს და მიღებული ქულების შესაბამისად (ყველაზე მაღალი ქულიდან ქვევით), არსებული რიგითობის მიხედვით ხდება ბინების განაწილება.

პირველ ეტაპზე ხდება ბინის შეთავაზება. თუ დევნილი თანახმაა და ხელს აწერს ბინის გადაცემას, თბილისის შემთხვევაში — სოციალურ საკითხთა სამმართველო, რეგიონების შემთხვევაში — რეგიონული სამმართველო წერს მოხსენებით ბარათს მინისტრის სახელზე და გამოიცემა მინისტრის ბრძანება ბინის გადაცემის შესახებ.

ნებისმიერ დევნილს, რომელიც საეჭვოდ და არასამართლიანად ჩათვლის ბინების განაწილებას, შეუძლია, მოითხოვოს ინფორმაცია, კონკრეტულმა ოჯახმა რატომ, რის საფუძველზე მიიღო ბინა, მან რატომ ვერ მიიღო და ის თავად დარწმუნდება პროცესის სამართლიანობასა და ობიექტურობაში. ასევე, დევნილს შეუძლია, გადაწყვეტილება სასამართლოში გაასაჩივროს.

რაც შეეხება სულადობისა და ფართის თანაფარდობას, 1 და 2 სულიან ოჯახზე გათვალისწინებულია ერთოთახიანი ბინა (დაახლოებით 25-35 m^2), 3 და 4 სულიან ოჯახზე - ოროთახიანი ბინა (დაახლოებით 45-55 m^2), 5 და 6 სულიან ოჯახზე სამოთახიანი ბინა (დაახლოებით 65-75 m^2). რაც შეეხება ათსულიანი ოჯახისათვის სამოთახიანი ბინის შეთავაზებას, მსგავსი ფაქტი არ გვქონია. იმერეთში გვქონდა შემთხვევა, როცა 9 სულიან ოჯახს შევთავაზეთ 2 ოროთახიანი და 1 ერთოთახიანი ბინა, თუმცა, შეთავაზება არ მიიღო.

— იმ შემთხვევაში, თუ მარტოხელა მოხუცს გადაადგილება არ შეუძლია, ბინის მისაღებად განცხადების დასაწერად მივა თუ არა მასთან სამინისტროს წარმომადგენელი?

— დევნილს, რომელიც აღნიშნული მიზეზით ვერ ახერხებს განაცხადის შესავსებად მისვლას, შეუძლია, დარეკოს სამინისტროს „ცხელ ხაზზე" და ჯგუფი მას საცხოვრებელ ადგილზე მიაკითხავს.

— სოციალური დახმარების დანიშვნის შემთხვევაში, დევნილ ოჯახს რატომ ეხსნება დევნილობის შემწეობა? მიუხედავად სოციალური დახმარების მიღებისა, დევნილობის სტატუსი ხომ უცვლელი რჩება?

— მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, დევნილს არ აქვს უფლება, ერთდროულად ორი დახმარება — დევნილის შემწეობა და სოციალური დახმარება მიიღოს. კანონის 5^1 მუხლის მე-2 (ბ) ქვეპუნქტის შესაბამისად, დევნილის შემწეობის შეწყვეტის საფუძველია სიღატაკის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახებისთვის განკუთვნილი სოციალური დახმარების ნებაყოფლობით მიღება. დევნილი თავად ირჩევს რომელი დახმარების მიღება სურს.

ნესტან ჩაგელიშვილი

ქუთაისის „პატიოსანი და წარუმატებელი" მერი

ქუთაისის მერს მიმდინარე კვირის ოთხშაბათს შვებულების ვადა ეწურება. დიმიტრი კოპალიანი თანამდებობაზე 11 სექტემბერს უნდა დაბრუნდეს, თუმცა, შესაძლოა, კოპალიანმა მერის პოსტზე ორთვენახევრიანი წარუმატებელი მოღვაწეობა შვებულებიდან გამოუსვლელად დაასრულოს.

„P.S. ფოტო" ©

დიმიტრი კოპალიანი

კონკურსის წესით არჩეული პირველი მერი დიმიტრი კოპალიანი საკრებულოს ფრაქცია „პატრიოტებისთვის" მერის პოსტზე მისი დანიშვნიდან 26 დღეში გახდა მიუღებელი. „პატრიოტებსა" და მერს შორის ე.წ. „ბრიფინგების ომის" დროს გამოაშკარავდა ის რეალური მიზეზები, რის გამოც საკრებულოს უმრავლესობა მათ მიერვე დანიშნულ კადრს ღიად დაუპირისპირდა. მაშინ აქტიურად საუბრობდნენ იმაზე, რომ კოპალიანი მუდმივ ზეწოლას განიცდიდა „პატრიოტების" პარტიული ლიდერისგან. არაოფიციალური ინფორმაციით, ყოფილი „ნაციონალი" გოჩა თევდორაძე მერიაში მიმდინარე მასშტაბური რეორგანიზაციის ფარგლებში საკადრო პოლიტიკაში აქტიურად ჩარევას ცდილობდა, რასაც, თავის მხრივ, პრინციპულად ეწინააღმდეგებოდა დიმიტრი კოპალიანი.

როცა ვითარება უკიდურესად დაიძაბა, „პატრიოტები" მათ მიერვე დანიშნულ მერს იმპიჩმენტით დაემუქრნენ, თუმცა, თანამდებობიდან იძულების წესით გადაყენების პროცედურა არ შედგა. კულუარებში კი ამბობდნენ, რომ კოპალიანმა, რომელიც იმ დღეებში დედაქალაქში გაემგზავრა, ხელისუფლებისგან მყარი გარანტიები მიიღო. მიუხედავად ამისა, იმპიჩმენტს გადარჩენილი კოპალიანი კვლავ თანამდებობიდან გადადგომის რეალური საფრთხის წინაშე დადგა. იმპიჩმენტიდან იმპიჩმენტამდე მერის მუშაობით უკმაყოფილოთა რიცხვი ქუთაისის საკრებულოში გაიზარდა და გასულ თვეში, მერის საქმიანობის შესწავლის მოთხოვნით, ფრაქცია „პატრიოტთა ალიანსის" განცხადებას, რომელიც ჩაშლილი იმპიჩმენტის განმეორების წინაპირობას წარმოადგენდა, ხელი ერთით მეტმა დეპუტატმა მოაწერა. დიმიტრი კოპალიანის თანამდებობიდან გადაყენებას მხარს საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების" თავმჯდომარე მამუკა მღვდელაძეც უჭერს. მღვდელაძე, რომელიც ახლა უკვე ღიად საუბრობს იმაზე, რომ დიმიტრი კოპალიანი „ქართული ოცნების" კადრია, მერს მენეჯმენტს უწუნებს.

„ბატონი დიმიტრი ძალიან პატიოსანი და სუფთა ადამიანია. ის იმდენად კეთილშობილი პიროვნებაა, რომ არ მიმაჩნია სწორად მისი იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენება, მაგრამ, რადგან იგი აღმოჩნდა სუსტი მენეჯერი, ვფიქრობ, ქალაქს არ უნდა მართავდეს. მე ის უფრო სხვა სფეროში, მაგალითად, განათლების სამინისტროში წარმომიდგენია რაიმე თანამდებობაზე," — ამბობს **მამუკა მღვდელაძე**.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ, მღვდელაძის მსგავსად, დიმიტრი კოპალიანის საქმიანობის შეფასებისას ადგილობრივ თვითმმართველობაში მხოლოდ მისი პიროვნული თვისებები ახსენდებათ, ხოლო რაც შეეხება კრიტიკას, მერის საქმიანობის შესწავლით დაინტერესებული დეპუტატები კოპალიანის შეცდომებზე ვერ საუბრობენ. ამბობენ მხოლოდ იმას, რომ მან ადაპტაცია ვერ გაიარა და ბევრ საკითხზე ჯერ კიდევ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს.

„ის ძალიან კარგი პიროვნებაა, მაგრამ საქმის საკეთებლად მარტო ეს არ არის საკმარისი. კვირაობით გროვდება ხელმოუწერელი დოკუმენტები მის კაბინეტში. გამუდმებით გაიძახის, შესწავლისთვის დრო მჭირდებაო, მაგრამ მას უნდა ესმოდეს, რომ გაჩერებული დოკუმენტები გაჩერებულ საქმეს ნიშნავს. ასე გაგრძელება აღარ შეიძლება," — ეს განცხადება „პატრიოტების" წევრმა გოგიტა გოგელაშილმა დიმიტრი კოპალიანის შვებულებაში გასვლამდე და დაანონსებულ იმპიჩმენტამდე ერთი დღით ადრე გააკეთა.

„სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია — ეს ადამიანი ბალზეა და ტყემალს ჭამს", — ამ კომენტარით ქუთაისის მერის, დიმიტრი კოპალიანის, მიმართ საკუთარი დამოკიდებულება საკრებულოს ყველაზე დიდი ფრაქციის — „პატრიოტების" თავმჯდომარემ კახა ნემსიწვერიძემ გამოხატა და ეს კოპალიანის შვებულებაში გასვლამდე რამდენიმე დღით ადრე მოხდა.

19 აგვისტოს კი, საკრებულოს თავმჯდომარის კაბინეტში „პატრიოტებსა" და მერს შორის გამართული მოლაპარაკების დასრულებიდან რამდენიმე საათში, ცნობილი გახდა, რომ დიმიტრი კოპალიანი შვებულებაში გავიდა, თუმცა, ჯერ კიდევ მოლაპარაკების დასრულებამდე მერის უახლოესი გარემოცვა ადასტურებდა, რომ კოპალიანი არც თანამდებობის დატოვებას და არც შვებულებაში გასვლას არ გეგმავდა.

გარდა ამისა, დღემდე პასუხგაუცემელია შეკითხვა, ეკუთვნოდა თუ არა კოპალიანს შვებულება პოსტზე მხოლოდ ორთვენახევრის მუშაობის შემდეგ. „საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის თანახმად, საჯარო მოხელეს შვებულების მიღება მხოლოდ 9 თვის შემდეგ შეუძლია. შვებულების დროზე ადრე მოთხოვნის უფლება კი პირს იმ შემთხვევაში აქვს, თუ შესაბამისი პირობა სამსახურში აყვანის შესახებ ხელშეკრულებაშია გათვალისწინებული.

საკრებულოს თავმჯდომარე თამაზ მარგველაშვილი ამბობს, რომ კანონი არ დარღვეულა.

ახლა, ადგილობრივ თვითმმართველობასა და პოლიტიკურ წრეებში ყველაზე აქტუალური შეკითხვაა: დაბრუნდება თუ არა მერი შვებულებიდან?

თავად დიმიტრი კოპალიანმა, შვებულებაში ყოფნის მიუხედავად, საკუთარი პოზიცია მედიასთან უკვე რამდენჯერმე დააფიქსირა. გაზეთ „P.S."-ის („პოსტსკრიპტუმი") შეკითხვებზე პასუხად მან განაცხადა, რომ აუცილებლად დაბრუნდება და უფრო მეტიც, ქალაქის განვითარებისთვის რამდენიმე ინოვაციური გეგმაც აქვს.

ქუთაისის ვიცე–მერმა და დიმიტრი კოპალიანის მთავარმა ლობისტმა თენგიზ თოფურიძემ კი რამდენიმე დღის წინ „P.S."-ს განუცხადა, რომ კოპალიანი შვებულებიდან დაბრუნების გადაწყვეტილებას საკუთარი სურვილის მიხედვით მიიღებს.

რაც შეეხება იმას, მერის შვებულებიდან დაბრუნების შემთხვევაში კვლავ დადგება თუ არა დღის წესრიგში იმპიჩმენტი და მოითხოვენ თუ არა დეპუტატები მერის წარუმატებელი საქმიანობის შესწავლის გაგრძელებას, ამ საკითხზე განმარტებების გაკეთებისგან იმპიჩმენტის მომხრეები თავს იკავებენ.

მარი პატარაია

გათავისუფლებულ თანამშრომელთა ბრალდებებს ბაგა-ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელი უსაფუძვლოს უწოდებს

ქუთაისში ბაღის რამდენიმე თანამშრომელი ბაგა-ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელს მაია პაქსაძეს სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებაში ადანაშაულებს. მათი განცხადებით, პაქსაძემ ისინი სამსახურიდან ასაკის გამო გაათავისუფლა.

როგორც გათავისუფლებული თანამშრომლები ამბობენ, მაია პაქსაძე მათ დასუფთავების სამსახურში მუშაობის დაწყებას ურჩევთ.

„დამიბარა პაქსაძემ და მითხრა, რომ ხელშეკრულება შემიწყდა. ჩემს მსგავსად სხვებსაც დაატოვებინეს სამსახური. 60 წელი 21 სექტემბერს მისრულდება, გამოდის, რომ საპენსიო ასაკის გამო გამიშვეს, რისი უფლებაც არ ჰქონდათ. ბანკიდან კრედიტი მაქვს აღებული. ოჯახში ჩემს გარდა არავინ მუშაობს. მეუღლე ავადაა და მუშაობა არ შეუძლია. შვილი გარდაცვლილი მყავს. ასეთ მდგომარეობაში ვარ და სამსახურის გარეშე მტოვებენ. აღსანიშნავია, რომ ხდება აღმზრდელების გათავისუფლება, რომელთაც ბავშვებთან აქვთ შეხება. პაქსაძემ ისიც კი მითხრა, რომ დასუფთავებაში გადავიდე სამუშაოდ, ეს ნორმალური დამოკიდებულებაა?" — აღნიშნავს გათავისუფლებული **სვეტლანა ბრეგაძე.**

გათავისუფლებული თანამშრომლების ბრალდებებს იზიარებს სამოქალაქო ცენტრ „არგუსის" ხელმძღვანელი მანანა მანაგაძე და აღნიშნავს, რომ პაქსაძემ თანამშრომლები სამსახურიდან საკუთარი სურვილის საფუძველზე გაუშვა.

„პაქსაძე ბაღის თანამშრომლებს ყოველგვარი მიზეზის გარეშე სამსახურიდან წასვლისკენ მოუწოდებს. ეს ადამიანები წლების მანძილზე ბაღებში მუშაობდნენ და საკუთარი საქმის პროფესიონალები არიან. 60 წლის ასაკისაც რომ იყვნენ, შრომის კოდექსმა საჯარო სამსახურში მუშაობის ზედა ზღვარი მოხსნა და მათ მუშაობის უფლება აქვთ. საინტერესოა, ამ ქალაქში მაია პაქსაძეა კანონიც და სამართალიც?! ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელი აცხადებს,რომ ის,მხოლოდ საკრებულოს დადგენილებას ენდობა და ამ დადგენილებას ორგანულ კანონზე მაღლა აყენებს," — აცხადებს **მანანა მანაგაძე**.

მისი მისამართით გამოთქმულ ბრალდებებს არ იზიარებს ბაგა-ბაღების გაერთიანების ხელძღვანელი **მაია პაქსაძე** და თვლის, რომ კანონის შესაბამისობაში მოქმედებს.

„ბაღებში 1200 ადამიანია დასაქმებული. ჩემს ინტერესებში არ შედის არავის გაშვება. მე არავის ვაიძულებ, განცხადება დაწეროს. 1 სექტემბერს ვადა გაუვიდა ხელშეკრულებას და იმის თქმა, რომ ვინმე სამსახურიდან გავუშვი, არასწორია. უბრალოდ, რამდენიმე თანამშრომელთან ხელშეკრულების გაგრძელება აღარ მოხდა. არამარტო აღმზრდელები, არამედ სხვა სპეციალისტებიც გავუშვი, ვინაიდან ამხელა შტატები არ იყო საჭირო. უმრავლესობას კი ხელშეკრულება გაუგრძელდა. ჩემი, როგორც დამსაქმებლის, ნება იყო — გავუგრძელებდი თუ არა ხელშეკრულებას. ამ საპენსიო ასაკზე აჟიტირება არაა სიმართლე, რადგან 40 წლამდე ასაკის თანამშრომელსაც არ გავუგრძელე ხელშეკრულება და არანაირი უკანონობა ეს არ იყო. არც ერთ კანონში არ წერია, რომ აუცილებელია, 60 წელს ზემოთ თანამშრომელი გათავისუფლდეს. მაგრამ მე მაქვს სურვილი, რომ ახალგაზრდა დავასაქმო. 80 წლის ხალხი იყო ბაღში და ვერ გამომყავდა ბაღიდან. მათ გამო, იმ ახალგაზრდა, უმუშევარი ადამიანის დრო ხომ გავიდა და საპენსიო ასაკს მიაღწია? ეს ბაღია, სადაც სკოლამდელი ბავშვები სწავლობენ და თამაშობენ. ბავშვი რომ დაეცემა, მასწავლებელი იქვე უნდა გაჩნდეს, მაგრამ ეს ასაკოვანი ხალხი ვეღარ ახერხებს მისვლას და იქეთ ეჩხუბებიან ბავშვებს. ამიტომ მიმაჩნია, რომ უმჯობესია, ეტაპობრივად, ახალგაზრდა თანამშრომლებით დაკომპლექტდეს ბაღები, თუმცა გავიმეორებ, ეს არ გულისხმობს, რომ ასაკოვან ხალხს სამსახურიდან ვუშვებთ," — აღნიშნავს ბაგა-ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელი.

პრობლემები გამოიწვია ახალმა კანონმა, რომლის მიხედვითაც, ორ წლამდე აღსაზრდელები საბავშვო ბაღებს მიღმა დარჩნენ. პაქსაძე აცხადებს, რომ მისთვის არსებული ინფორმაციით, ორ წლამდე ბავშვების არმიღება, ბაღებში უფასო სწავლებას არ უკავშირდება.

აღსანიშნავია, რომ, ახალი კანონით, რამდენიმე ასეული პატარა საბავშვო ბაღებს გარეთ დარჩა, მშობლები მომხდარს კერძო ბაღებთან გარიგებას უკავშირებენ. როგორც ისინი აცხადებენ, მშობლები, რომელთა ბავშვიც ორი წლის არ არის, იძულებულები იქნებიან, შვილები კერძო ბაღებში მიიყვანონ, სადაც მაღალი გადასახადებია.

ნესტან ჩაგელიშვილი

ანონსი

ქუთაისში, „ჩემი ოჯახის კლინიკის" საავადმყოფოში, სასწრაფო გადაუდებელი დახმარების ახალი განყოფილება იხსნება



10 სექტემბერს, 12 საათზე, სს „ჩემი ოჯახის კლინიკის" ქუთაისის რეგიონალურ საავადმყოფოში სამედიცინო ხარისხის გაუმჯობესებისა და სამედიცინო დახმარების დროულობის უზრუნველსაყოფად ახალი სასწრაფო გადაუდებელი დახმარების განყოფილება იხსნება.

კლინიკა უახლესი ტექნოლოგიებით იქნება აღჭურვილი და ასევე მაღალკვალიფიციური კადრებით დაკომპლექტდება.

სასწრაფო გადაუდებელი დახმარების (ER)-ის განყოფილების გახსნის უმთავრეს მიზანს კლინიკაში პაციენტის არასაჭირო დაყოვნების შემცირება და კრიტიკული პაციენტებისათვის გაწეული პირველადი დახმარების ეფექტურობის გაზრდა წარმოადგენს.

სს „ჩემი ოჯახის კლინიკის" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელის, თეონა ლალიაშვილის თქმით, სს „ჩემი ოჯახის კლინიკა" აღნიშნული სერვისის მიწოდებას, ქუთაისის რეგიონული კლინიკის გარდა, მის ქსელში შემავალ სხვა კლინიკებშიც გეგმავს.

ნესტან ჩაგელიშვილი
psnews.ge

ქუთაისში სტომატოლოგიურ დაწესებულებათა დიდი ნაწილი ლიცენზიის გარეშე მუშაობს

საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრო ქვეყნის მასშტაბით არსებული სტომატოლოგიური დაწესებულებების მონიტორინგს იწყებს. სამინისტროს ინიციატივით, ლიცენზიები, რომელიც მხოლოდ მაღალი სტანდარტების სტომატოლოგიური კლინიკებისა და პოლიკლინიკებისთვის იყო სავალდებულო, ამიერიდან გაუქმდება და მას აკრედიტაცია ჩაანაცვლებს, რაც, ჯანდაცვის მინისტრის თქმით, მუდმივი მონიტორინგის გარანტია იქნება.

2005 წლიდან, მცირე ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით, ლიცენზიის მიღების პროცედურის გამარტივებამ, ზოგ შემთხვევაში კი — ლიცენზიის აღების ვალდებულების მოხსნამ, ხელი შეუწყო ქვეყანაში სტომატოლოგიურ დაწესებულებათა რაოდენობის მკვეთრ ზრდას, რაც უარყოფითად აისახა მომსახურების ხარისხზე. ფუნქციონირება დაიწყო ე.წ. სტომატოლოგიურმა კაბინეტებმა, სადაც მომსახურების ხარისხი დაბალია, პაციენტის სხვადასხვა ინფექციით დაავადების საფრთხე კი მაღალი. ვითარებას ამძიმებს ისიც, რომ, როგორც თავად სტომატოლოგებიც ადასტურებენ, ბოლო ათი წელია, მსგავს დაწესებულებებში მონიტორინგი არ განხორციელებულა.

ქუთაისში, დაახლოებით, 170-მდე სტომატოლოგიური დაწესებულებაა. მათ დიდ ნაწილს სწორედ სტომატოლოგიური კაბინეტები შეადგენს, რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, სტანდარტების მინიმუმსაც ვერ აკმაყოფილებენ.

შპს „პრიმა დენტის" დირექტორი ჯანდაცვის სამინისტროს ინიციატივას მიესალმება და ამბობს, რომ აკრედიტაციის შემოღება მკვეთრად შეამცირებს მათ რაოდენობას.

„მივესალმები სამინისტროს ამ გადაწყვეტილებას. აუცილებელია მონიტორინგი, რადგან ბევრი ისეთი კლინიკაა, რომელსაც რენტგენიც კი არ აქვს, რის გარეშეც პაციენტისთვის სწორი მკურნალობის ჩატარება შეუძლებელია. მინიმუმი სტანდარტი, რაც ყველა კლინიკაში უნდა იყოს, არის სტერილიზაცია, რენტგენის კაბინეტი და საკმარისი ფართი. თუ მუდმივი კონტროლი იქნება, ეს, ცხადია, შეამცირებს კლინიკებისა თუ სტომატოლოგიური კაბინეტების რიცხვს, მაგრამ გაზრდის მომსახურების ხარისხს," — ამბობს შპს „პრიმა დენტის" დირექტორი **დავით ნოდია.**

„ასეთ პატარა ქალაქში რა საჭიროა ამდენი სტომატოლოგიური მომსახურების ცენტრი? მე არ ვიცი, სხვა როგორ მუშაობს, მაგრამ დარწმუნებული ვარ იმაში, რომ პაციენტი არ უნდა იყოს ექიმის კეთილსინდისიერების იმედად. თუნდაც არ გაკონტროლებდეს ვინმე, ვალდებული ხარ, კარგად აკეთო შენი საქმე," — ასე მიიჩნია „რეგიონალური სტომატოლოგიური ცენტრის" ექიმ-სტომატოლოგს **გულიკო კვიტაშვილს.**

რა მინიმალურ სტანდარტებს დააწესებს საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრო სტომატოლოგიური კლინიკებისთვის და როდიდან გაიცემა აკრედიტაციები, ჯერჯერობით, დეტალები უცნობია.

მარი პატარაია
psnews.ge

უმეთვალყურეოდ დარჩენილ სასაფლაოებზე პირუტყვი ბალახობს

ქუთაისში არსებული 13 მოქმედი სასაფლაოს მოვლა-პატრონობას შპს „ქართული ტრადიციები 2011" ახორციელებს. შპს 2011 წელს ქალაქის მერიამ დააფუძნა.

„ქართული ტრადიციები 2011"-ის მოვალეობას შიდაგზების დასუფთავება, ნარჩენების გატანა და სასაფლაოების პირუტყვისგან დაცვა წარმოადგენს. თუმცა, მიუხედავად სამსახურის არსებობისა, ქუთაისის სასაფლაოებზე საფლავების მეპატრონეებსა და პირუტყვის პატრონებს შორის დაპირისპირება ხშირად ხდება. ვინაიდან სასაფლაოების უმეტესობა შემოუღობავია, პირუტყვი აქ ბალახობს, რაც მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევს. შპს-ს ხელმძღვანელის, გოჩა მარგველაშვილის განცხადებით, სასაფლაოებს ფინანსების არ არსებობის გამო დარაჯები არ ჰყავთ, ამიტომ ტერიტორია ყოველთვის ვერ გაკონტროლდება, თუმცა, მისივე განცხადებით, სამსახურის წარმომადგენელს მხოლოდ ის შეუძლია, რომ დაპირისპირების დროს პატრულს გამოუძახოს, ვინაიდან მოქალაქეების ჩხუბში ჩარევის უფლება არ აქვს. სასაფლაოების მეპატრონეები კი სწორედ სამსახურისაგან მოითხოვენ საფლავის კონტროლს და შემოღობვას.

კაკო იობიძე: „ახალგაზრდა შვილი მყავს დაკრძალული და როგორია, ყოველ მოსვლაზე რომ ვხედავ მის საფლავს წაბილწულს! რამდენჯერ გავაფრთხილე ძროხების პატრონი, მაგრამ — უშედეგოდ, ყოველ ჯერზე ისევ ისეა. პატრონი არ ჰყავს ამ სასაფლაოებს ვინმე, არ შეიძლება, რომ შემოღობონ და გააკონტროლონ? შვილის სასაფლაოზე მოვდივარ და ჩხუბით ვბრუნდები. ავანგარდში, მით უმეტეს, საშინელი მდგომარეობაა, ციგნებს ათეულობით ცხენი ჰყავთ და ყველა აქ იყრის თავს".

ჟუჟუნა, 55 წლის: „რა განუკითხაობაა, სასაფლაოებზე რომ არ გამოუშვან პირუტყვი, არ შეიძლება? თან გადაყოლილი ვარ ამ საფლავს და როგორია, ასეთ გაუბედურებულს რომ ვხედავ? შემოღობონ, დაიჭირონ ძროხები და წაიყვანონ. გვესმის, რომ პატრონებიც ცოდვები არიან, მაგრამ ამის მერე მაინც ისწავლიან, რომ ასე უპატრონოდ არ გამოუშვან ძროხები და ცხენები. რას აკეთებს სამსახური, რომელსაც აბარია სასაფლაოების მოვლა, არავინ იღებს პასუხისმგებლობას, მაგათ მიწის გაყიდვის მეტი არაფერი აქვთ საქმე?"

სასაფლაოების ტერიტორიაზე არ არის გამოკრული განცხადებები, სადაც მითითებული იქნება ცხელი ხაზის ნომერი, რომელზე დაკავშირებასაც მოსახლეობა შეძლებს.

რა მოვალეობები გადაეცა შპს „ქართული ტრადიციები 2011"-ს, მას შემდეგ, რაც სასაფლაოების მეთვალყურეობა გადაიბარეს, ამ კითხვებზე მერიის ბაზაზე დაფუძნებული შპს-ს ხელმძღვანელი გოჩა მარგველაშვილი პასუხობს:

„ჩვენი სამსახურის მოვალეობაში სასაფლაოს დასუფთავება შედის. რა თქმა უნდა, პირუტყვი არ უნდა შედიოდეს და მეტ-ნაკლებად ვახერხებთ ამას, მაგრამ სასაფლაოებს დარაჯი არ ჰყავს და ამიტომ ბოლომდე ვერ ვაკონტროლებთ. პრობლემის მოსაგვარებლად დავიწყეთ სასაფლაოების შემოღობვა, ავანგარდის სასაფლაოზე 90 მეტრი უკვე შევღობეთ და, დაახლოებით, ორ კვირაში მთლიანად მოვრჩებით. შევიძინეთ ორი ჭიშკრის მასალა და მათაც დავკიდებთ, ამის შემდეგ სასაფლაო დაცული გახდება. საინტერესო, იცით, რა არის, როდესაც შემოღობვა დავიწყეთ, მოვიდნენ პარუტყვების მეპატრონეები და გაოცებული გვეკითხებოდნენ, რატომ ღობავთო? მათ მიაჩნიათ, რომ ძროხებმა სასაფლაოზე უნდა იბალახონ. იმედია, უახლოეს მომავალში ყველა სასაფლაო დაცული გახდება, ამისთვის ჩვენ ყველანაირ ღონეს ვიყენებთ."

ნესტან ჩაგელიშვილი

„მესიების მისიის დასრულება"

რატომ აპირებს პოლიტიკიდან წასვლას ივანიშვილი

მე-2 გვერდიდან

„შესაძლოა, მოტივი თავიდან სხვა იყო. სავარაუდოა, რომ შემდეგ დაემატებოდა ქართული პოლიტიკური რეალობა, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე მძიმე ფენომენია, ალბათ, ამქვეყნად. ქართული პოლიტიკური რეალობა პლებეური მერკანტილური მორალითაა დასნეულებული და მისი გაძლება საკმაოდ ძნელია. ყველაფერს დაუმატეთ ის მძიმე ტვირთიც, რომელიც ჩვენს ნებისმიერ ლიდერს აწვება," — აცხადებს ფილოსოფოსი **ზაზა ფირალიშვილი** „ინტერპრესნიუსთან" ინტერვიუში ივანიშვილის წასვლის მიზეზებთან დაკავშირებით. მისივე აზრით, ჯერჯერობით, ბევრი რამ „ნაციონალებთან" დაპირისპირების კონტექსტში აღიქმება. პრემიერის წასვლის შემდეგ ეს ასე არ იქნება. ამით შეიძლება იხეირონ თავად „ნაციონალებმა" და თვითრეაბილიტაციას შეეცადონ, რაც უფრო საშიშია. ასევე, ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლით შეიძლება რუსული ელფერის რადიკალურმა ძალებმა იხეირონ. ასევე, არ არის გამორიცხული ეროზიული პროცესები „ქართულ ოცნებაშიც."

პრემიერის პოლიტიკიდან წასვლის შემდგომ წარმოქმნილ რისკებს აფასებს პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე. მისი განცხადებით, ივანიშვილის წასვლით ქვეყანაში გადაწყვეტილების მიღების რამდენიმე ცენტრი შეიქმნება, რაც საქართველოს სიკეთეს არ მოუტანს. ამასთან, პოლიტოლოგი სკეპტიკურად უყურებს ივანიშვილის მიერ დასახელებულ წასვლის ერთ-ერთ მოტივს, რომ ის სამოქალაქო საზოგადოებას გააძლიერებს:

„პრემიერის გადაწყვეტილების გამო წუწუნს აზრი ნამდვილად არ აქვს. ივანიშვილის ღია წერილის მთავარი მიზანი მისივე ე.წ. გუნდისა და საზოგადოების დამშვიდება იყო. თუმცა, მეორეს მხრივ, რომ შევხედოთ ამ ყველაფერს და უშუალოდ მის სურვილს სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებისა, ცოტა არ იყოს, უცნაურად ჟღერს. სამოქალაქო საზოგადოება ის ხომ არ არის, თეა წულუკიანთან განცხადება შეიტანო და ე.წ. „ენჯეოშნიკი" გახდე? — ეს ასე უცბად არ იქმნება, სამოქალაქო სექტორს ერთი ადამიანი ვერ შექმნის, გინდ ივანიშვილი იყოს და გინდ — კეისარი," — აცხადებს **სოსო ცინცაძე**.

ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის შესახებ განცხადებას „ნაციონალური მოძრაობის" ლიდერებიც გამოეხმაურნენ. **დავით ბაქრაძის** თქმით, ქართული ეკონომიკისათვის, რომელიც ისედაც ღრმა კრიზისის მდგომარეობაშია, ასეთი ტიპის განცხადება ძალიან სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს, რადგან არასტაბილურობის განცდას აძლიერებს.

„მეორე ფაქტორი „ქართული ოცნების" მიერ გაცემულ წინასაარჩევნო დაპირებებს უკავშირდება. დასამალი არ არის, რომ ქართველი ხალხის თვალში ეს დაპირებები და მათი შესრულება, პირველ რიგში, ბიძინა ივანიშვილის სახელს უკავშირდება. ამ დაპირებების დიდი ნაწილი დღემდე შეუსრულებელია. პრემიერ-მინისტრის წასვლა ნიშნავს იმას, რომ ეს დაპირებები დაპირებად დარჩება და მოსახლეობა ვერ მიიღებს იმას, რის გამოც ხმა კოალიცია „ქართულ ოცნებას" მისცა," — აცხადებს საპარლამენტო უმცირესობის ლიდერი. ბაქრაძის აზრით, პრემიერის წასვლის შემთხვევაში ქვეყანაში გადაწყვეტილების მიღების დეფიციტიც შეიქმნება, რაც ქვეყანაზე უარყოფითად აისახება და არასტაბილურობას და ქაოსის განცდას გააძლიერებს.

ცოტნე პაატაშვილი

ქუთაისის მერიაში არსებული 48 ვაკანტური პოსტის დაკავება 1000-ზე მეტ აპლიკანტს სურს

ქუთაისის მერიაში გამოცხადებული კონკურსის პირველი ეტაპის შედეგები უკვე ცნობილია. 48 ვაკანტურ თანამდებობაზე 1291 განაცხადი შევიდა. როგორც ჟურნალისტებთან შეხვედრაზე კომისიის თავმჯდომარემ თამაზ მარგველაშვილმა განაცხადა, კომისია აპლიკაციების განხილვას ორშაბათიდან დაიწყებს. 9 სექტემბრიდან კი დაიწყება მეორე ეტაპი, რომლის დროსაც შერჩეულ კანდიდატებთან ინდივიდუალური გასაუბრება გაიმართება. ზეპირი გასაუბრების შემდეგ კი ცნობილი გახდება, ვინ დაიკავებს თანამდებობებს 48 ვაკანტურ პოსტზე.

ქუთაისის საკრებულოს საკონკურსო-საატესტაციო კომისიამ კონკურსი 52 ვაკანსიაზე გამოაცხადა, თუმცა კონკურსის მიმდინარეობისას გაუქმებულად გამოცხადდა ოთხი თანამდებობა, რის გამოც 57 აპლიკანტის განაცხადი, რომლებიც ჯერ კიდევ გაუუქმებელ ვაკანსიაზე შემოიტანეს, ავტომატურად გაბათილდა.

მარი პატარაია
psnews.ge

პარლამენტში კვლავ ბომბს ეძებენ

6 სექტემბრის საღამოს 21 საათზე, იმ დროს, როცა გაზეთს უკვე ხელმოსაწერად ვამზადებდით, ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ქუთაისში, პარლამენტის შენობაში ბომბის არსებობის შესახებ ანონიმური ზარი განხორციელდა. გამოცხადდა ევაკუაცია. დაცვის წევრებმა პარლამენტში მყოფთ შენობის დატოვებისკენ მოუწოდეს.

პარლამენტთან საპატრულო პოლიცია იყო მობილიზებული.

მიმდინარე წელს პარლამენტში ბომბის შესაძლო არსებობაზე ეს უკვე მეორე ანონიმური ზარია. პირველი ანონიმური ზარის ავტორი თერჯოლელი 73 წლის ომარ ფანჩულიძე იყო, რომელმაც ჯანდაცვის სამინისტროს უყურადღებობის გამო დეპუტატების შეშინება სცადა. ამჯერად კი პარლამენტის შენობის წინ შიმშილობის აქციის მონაწილე იპოთეკარებმა განაცხადეს, რომ ბომბი და განგაში მათ დასაშლელად ხელსუფლებამ თავად მოიგონა.

ბოლო ინფორმაციით, ბომბის ძებნა გრძელდებოდა.

ნესტან ჩაგელიშვილი
psnews.ge

ლიმონებით მოვაჭრე ბიჭი

14 წლის ბაჩუკის იმედად დარჩენილმა ექვსსულიანმა ოჯახმა სოციალური დახმარება ვერ მიიღო

ქუთაისში თითქმის ყველა იცნობს 14 წლის ბაჩუკი ქათამაძეს, რომელიც წელიწადის ნებისმიერ დროს ლიმონებით სავსე ზურგჩანთით დადის და თავისი „მცირე ბიზნესით“ ოჯახს ეხმარება.

ლიმონებით ვაჭრობა შვიდი წლის ასაკში დაიწყო, როდესაც ოჯახს უკიდურესად გაუჭირდა. როგორც თავად ამბობს, ლიმონები იმიტომ აირჩია, რომ მისი გაყიდვა ცალობით შეუძლია, სხვა ხილს კი ასე ვერ გაყიდდა. დღიური ნამუშევარი სამიდან ხუთ ლარამდე მერყეობს, რაც ოჯახს პურის ფულად ჰყოფნის.

ბაჩუკი ქათამაძე ნიკეას დასახლებაში, ე.წ. „გარადოკებში“ ნაქირავებ ბინაში, ექვსსულიან ოჯახში ცხოვრობს, რომლის მარჩენალიც თავადაა. გაკვეთილების დამთავრების შემდეგ, დღის მეორე ნახევარში სამუშაოდ ქალაქში გადის და შინ გვიან ღამით ბრუნდება.

ექვსსულიანი ოჯახის (სადაც სამი მცირეწლოვანი ბავშვია) ოფიციალური შემოსავალი ბებიის 110-ლარიანი და ბაჩუკის ობლობის 55-ლარიანი პენსიაა, რომელიც, ძირითადად, ქირის და კომუნალური გადასახადებისათვის სჭირდებათ.

ბიჭს მამა რამდენიმე წლის წინ გარდაეცვალა და ის დედასთან, დებთან, მამინაცვალთან და ბებიასთან ცხოვრობს. ბებია დიაბეტით არის დაავადებული, მამინაცვალს კი წლების წინ მიღებული სპორტული ტრამვების გამო მუშაობა არ შეუძლია, თუმცა, როგორც თავად აცხადებს, მიუხედავად ძებნისა, სამუშაო მაინც ვერ იპოვა.

აღსანიშნავია, რომ ოჯახი, არსებული მძიმე მდგომარეობის მიუხედავად, სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში ვერ მოხვდა. როგორც თავად ამბობენ, სოციალური მომსახურების ქუთაისის სერვისცენტრში მათ განუცხადეს, რომ ოჯახის შრომისუნარიანი წევრების გამო დახმარება არ ეკუთვნით.

მათ ბრალდებას არ ადასტურებს სოციალური მომსახურების ქუთაისის ცენტრის ხელმძღვანელი ხათუნა ცანავა. როგორც ის განმარტავს, აღნიშნული მიზეზით მოქალაქეები უარს არ იღებენ და მათი სარეიტინგო ქულები სოციალური აგენტებისგან დამოუკიდებლად, კომპიუტერული სისტემით გამოითვლება.

„2011 წლიდან ნატალია შეყრილაძის ოჯახი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში, თუმცა მათ ყოველთვის 57000-ზე მაღალი სარეიტინგო ქულა მიიღეს. იმის გამო, რომ ოჯახს დაუფიქსირდა საარსებო მინიმუმზე მაღალი შემოსავალი, ასევე არ დაფიქსირდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე არცერთი პირი, ოჯახი ვერ მოხვდა სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში. რაც შეეხება შრომისუნარიანობას, ეს არაა გადამწყვეტი ფაქტორი, არამედ ერთ-ერთი კომპონენტია. რაც მთავარია, ოჯახმა მოგვმართა მხოლოდ სოციალური დახმარების მოთხოვნით და არ გამოუთქვამს სურვილი, ოჯახის ბავშვები ბავშვთა ზრუნვის პროგრამაში ჩაგვერთო. მათ ამჯერად შეუძლიათ, განმეორებით მოგვმართონ და წარმოადგინონ ფორმა 100, ოჯახის ერთ-ერთი წევრისა, რომელსაც, როგორც გაირკვა, ჯანმრთელობის პრობლემა აქვს. ასევე აგენტს აცნობონ დემოგრაფიული ცვლილების შესახებ — გამოაკლდა თუ მიემატათ ოჯახის წევრი; ასევე — მოეხსნათ თუ არა ლეგალური შემოსავალი. ამ შემთხვევაში აგენტი მივა მითითებულ მისამართზე, განმეორებით მოხდება დეკლარაციის შევსება და გაირკვევა, მიეკუთვნება თუ არა ოჯახს სოციალური დახმარება,“ — აღნიშნა ჩვენთან საუბრისას სააგენტოს ხელმძღვანელმა ხათუნა ცანავამ.

თავისი მონდომებით და მიზანდასახულობით 14 წლის ბიჭი ნაცნობებისა და რიგირთი გამვლელების პატივისცემას იმსახურებს. აღსანიშნავია, რომ მოზარდი შემწეობის თხოვნით არ ცდილობს, ყოფა გაიმარტივოს, პირიქით — კეთილი ადამიანების დახმარებას უანგაროდ არასოდეს იღებს და მათ ლიმონებით უმასპინძლდება.

ბაჩუკის მუშაობის გამო თანატოლები დასცინიან ხოლმე. როგორც ჩვენთან საუბარში აღნიშნა, დამცირების გამო ხშირად უტირია კიდეც. თუმცა იცის, რომ სამუშაოს თავს ვერ დაანებებს, რადგან პატარა დების წინაშე პასუხისმგებლობას გრძნობს. როგორც ბაჩუკის დედა ნატო შეყრილაძე ამბობს, ბიჭი ყოველ დილით, დიდი კაკივით იკითხავს: „დღეს რა მოვუტანო პატარებს?“ თუმცა იცის, რომ მისი გამომუშავებული თანხით, მხოლოდ ორი პამპერსის და ორი იოგურტის ყიდვას თუ შეძლებს. უხარია, როდესაც ტკბილეულით გახარებულ დებს ხედავს და სჯერა, რომ მათ გამო საკუთარ მიზნებს უნდა მიაღწიოს: უნდა, საკუთარი კაფე ჰქონდეს, სადაც ლიმონებსაც გაყიდის და უფროსიც თავად იქნება.

ქალაქში თითქმის ყველა ცნობს და პატივს სცემს, მაგრამ, თუ მოხდა, რომ ავტობუსის მძღოლმა მგზავრობის საფასური გადაახდევინა, დაკარგული პურის ფულის გამო ნერვიულობს.

დიდი შრომისუნარიანობის მქონე ბიჭს, პატარა სურვილები აქვს. ოცნებობს, თოჯინების თეატრში საბავშვო სპექტაკლს დაესწროს და ველოსიპედი იყიდოს, რადგან, როგორც თვითონ ამბობს, ბევრი სიარულით ფეხები სტკივა.

ბაჩუკი ქათამაძე: „თამაშისთვის დრო არ მრჩება. რომ გავჩერდე, ვიცი, რომ ოჯახს ვერ დავეხმარები. მინდა, ველოსიპედი მყავდეს, ფულს ვაგროვებ, ამისთვის დიდი დრო დამჭირდება, თუმცა ჯერ მინდა, რომ გირაოს ფული მოვაგროვო და გადავიდეთ, ყოველთვიურად რომ არ ვიხადოთ ქირა. საღამოს რა თანხაც მომრჩება, იმას „კასაში“ ვყრი და მშვიდად ვგეგმავ მომავალ დღეს. ვერ ვიტყვი, რომ კარგი მოსწავლე ვარ, მაგრამ რამდენიმე საგანი ძალიან მომწონს. წიგნების პრობლემა მაქვს ხოლმე, იმდენად ძვირია, ვერ ვახერხებთ ყიდვას, ამიტომ სწავლაში ხელი მეშლება. არადა, მინდა, რომ მათემატიკა კარგად ვისწავლო და საკუთარი მცირე ბიზნესი მქონდეს“.

ლიმონების გაყიდვით ოჯახის შემნახველი ბიჭი საკუთარ სურვილებს იშვიათად ისრულებს, იმასაც — მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში. „ზამთარში მუხლამდე სველი მოდის სახლში, ფეხსაცმელებს ძლივს ვუშრობთ, რომ მეორე დღეს წავიდეს, რადგან ერთი წყვილი ფეხსაცმელი აქვს მხოლოდ. ახლაც 10 ლარიანი ბოტასები იყიდა, რისთვისაც 50 თეთრებით კარგა ხანს აგროვა ფული. თვითონ ასეთ დღეშია და სხვებს ეხმარება, ხშირად სესხულობს მათ ფულს, თუმცა აღარ უბრუნებენ. იცის, რომ ასეთ ადამიანებზე არ უნდა გაბრაზდეს,“ — აღნიშნავს ბაჩუკის დედა ნატო შეყრილაძე.

14 წლის ბიჭი თავისი გაკეთებული სიკეთით ხარობს, ყოველ დილით აქვს იმედი, რომ წარმატებული დღე ექნება და პურთან ერთად ოჯახს სხვა პროდუქტსაც მიაშველებს.

ნესტან ჩაგელიშვილი

ქუთაისელი მოვაჭრეები: „თუ გარევაჭრობა არ აიკრძალება, მალე ჩვენც პარლამენტთან გადავინაცვლებთ“

ქუთაისში არსებული გარევაჭრობის პრობლემა ადგილობრივი თვითმმართველობის და მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლების შეხვედრის მიზეზი გახდა.

შეხვედრაზე ქალაქში არსებული გარევაჭრობის პრობლემის მოგვარებაზე მსჯელობდნენ. სავაჭრო ცენტრებსა და ბაზრობებში მომუშავენი ადგილობრივი ხელისუფლებისგან გარევაჭრობის აკრძალვას მოითხოვენ. მათი განცხადებით, თუ პრობლემა არ მოგვარდა, მცირე და საშუალო ბიზნესს გაკოტრება ემუქრება.

„თუკი ხელისუფლებამ გარევაჭრობა არ აკრძალა და ეს პრობლემა არ მოაწესრიგა, ჩვენც მალე შევუერთდებით იმ მრავალრიცხოვან არმიას, რომლებიც, რამდენიმე დღეა, პარლამენტის წინ შიმშილობენ. ჩვენც ბანკის ვალები გვაქვს. გაგვაგებინოს ვინმემ, თუ კანონით გარევაჭრობა აკრძალულია, რატომ ვერ ხერხდება ამ კანონის დაცვა. ჩვენ რა შეგვიძლია, რომ ავუკრძალეთ ქუჩაში ვაჭრობა, ქვები დაგვიშინეს და გაგვლანძღეს,“ — აღნიშნა შეხვედრაზე მყოფმა, სავაჭრო ცენტრ „grandmol“-ის მმართველმა **ნატო დანელიამ**.

ვიცე-მერის **თენგიზ თოფურიძის** განცხადებით, გარევაჭრობის პრობლემის მოგვარება შსს-ს პრეროგატივაა და ადგილობრივი თვითმმართველობა გადამწყვეტ ზომებს ვერ მიმართავს, თუმცა, მისივე თქმით, მერიის მიერ დაფუძნებულია ადმინისტრაციული ზედამხედველობის სამსახური, რომელიც დღეში სამჯერ ატარებს შემოწმებას, მაგრამ იმის გამო, რომ სამსახურის წარმომადგენლებს პროდუქციის ჩამორთმევის უფლება არ აქვთ, პრობლემა მარტოოდენ გაფრთხილებით და შენიშვნით ვერ გვარდება.

გარემოვაჭრეთა თქმით, მიუხედავად უფლების არქონისა, ზედამხედველობის სამსახურის მიერ პროდუქციის წართმევისა და მათზე ფიზიკური ძალადობის ფაქტები არაერთხელ ყოფილა.

„ჩვენ გაჭირვებამ გამოგვიყვანა ქუჩაში, თორემ აქ ყოფნა კი არ გვიხარია, ბაზრის დირექციამ დაგვიკლოს გადასახადები, შევალთ ბაზარში და იქ ვიმუშავებთ. ჩამორთმევის უფლება არ აქვთ, მაგრამ წიხლებით რომ გვიყრიდნენ პროდუქციას ქუჩაში და კანონს არღვევდნენ, მაშინ დამნაშავეებად მხოლოდ ჩვენ რატომ გამოვყავდით?“ — აღნიშნეს გარემოვაჭრეებმა.

შეგახსენებთ, რომ ქუთაისში გარევაჭრობის პრობლემის მოგვარების პირობა პირველსავე სამუშაო დღეს დადო ქალაქის ახლადარჩეულმა მერმა დიმიტრი კოპალინმა, თუმცა, ნაცვლად პრობლემის მოგვარებისა, ქალაქში გარევაჭრობის ახალი კერები ჩნდება.

6 სექტემბერს გამართულ შეხვედრას ქუთაისის მაჟორიტარი დეპუტატი გუბაზ სანიკიძეც უნდა დასწრებოდა, მაგრამ პარლამენტში დაგეგმილი მოხსენების გამო სანიკიძე ადგილობრივ ბიზნესმენებთან გამართულ შეხვედრას არ დაესწრო.

ნესტან ჩაგელიშვილი

psnews.ge

„ასა“ ქუთაისის წყალმომარაგების 26 მილიონიანი პროექტის მონიტორინგს იწყებს

ორგანიზაცია „ახალი სამოქალაქო აზროვნება“ პროექტს იწყებს, რომლის პრეზენტაციაც ამ დღეებში გაიმართა. პროექტის უმთავრეს მიზანს ქუთაისის წყალმომარაგებისა და კანალიზაციის ქსელის რეაბილიტაციის პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართვა წარმოადგენს.

პროექტის ფარგლებში გამართულ შეხვედრას გაერთიანებული წყალმომარაგების ქუთაისის სერვისცენტრის ხელმძღვანელი, ქუთაისის საკრებულოს და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. შეხვერდრაზე საუბარი შეეხო იმ პრობლემებს, რაც წყალმომარაგების და კანალიზაციის მხრივ არსებობს ქალაქში.

„ჩვენი მიზანია მოსახლეობის გააქტიურება, მიმდინარე პროცესებში ჩართვა. საზოგადოებასთან ერთად ვაწარმოებთ სამუშაოების მონიტორინგს და მედიის საშუალებით გავასაჯაროებთ მთელ პროცესს. საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რა კეთდება. როდესაც წყალმომარაგების პროექტის პრეზენტაცია გაიმართა, ქუთაისის მაჟორიტარმა-დეპუტატმა, წყალმომარაგების კომპანიის ხელმძღვანელმა, რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის მინისტრმა გვამცნეს, რომ 2016 წელს, პროექტის დასრულებისას, ქუთაისს 24 საათიანი წყალმომარაგება ექნება, თუმცა, როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, ასე სულაც არ ყოფილა და ამ პროექტით ქუთაისში წყლის პრობლემა სრულად არ მოგვარდება, პირიქით — სამუშაოების მიმდინარეობის დროს ზოგიერთ ქუჩას პრობლემები შეექმნება. ამიტომ მოვახდენთ მთლიანი სამუშაოების მონიტორინგს,“ — აღნიშნა პროექტის ხელმძღვანელმა **ლაშა ჭელიძემ.**

შეხვედრაზე საუბარი შეეხო წყალმომარაგების სისტემის ადგილობრივი თვითმმართველობისათვის გადაცემის საკითხს. პროექტის კორდინატორის **ზაზა ხელაძის** განცხადებით, დაზიანებული მილის გამოცვლაზე ქუთაისის წყალმომარაგების კომპანია თბილისის პასუხს არ უნდა ელოდეს და ქუთაისმა თავად უნდა გადაწყვიტოს. გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ქუთაისის სერვისცენტრის ხელმძღვანელის **მიხეილ თათარაიძის** განცხადებით კი სირთულეების გამო ადგილობრივი თვითმმართველობა გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მართვას ვერ შეძლებს.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე ხნის წინ საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის მინისტრის გაკეთებული განცხადებით, შესაძლებელია, მომავალი წლის იანვრიდან წყალმომარაგების კომპანიები მმართველობაში მუნიციპალიტეტებს გადაეცეთ.

psnews.ge

უუფლებო მუშახელი ანუ „მილიონი ახალი სამუშაო ადგილი“ ახლებურად

ქართულ შრომით ბაზარსა და, საერთოდ, დასაქმებულებს, უამრავი პრობლემა აქვს. არა მარტო შრომითი კანონმდებლობა, არამედ სხვა რამდენიმე საკითხიც მისახედია. აღნიშნულ თემაზე საუბრობს იურისტი, პროფკავშირული ორგანიზაცია „ერთობის“ წარმომადგენელი დავით წიქარიშვილი.

კანონი საეჭვო რეპუტაციის ბიზნესზეა გათვლილი

საყოველთაოდ დამკვიდრებულია შეხედულება, რომ ღარიბი ქვეყანა იმიტომაა ღარიბი, ზარმაცი, უსაქმური და კრიმინალური მიდრეკილების ადამიანებითაა დასახლებული. შეიძლება, ვინმეს აქვს ილუზია, რომ ჩვენ, დასაქმების დღევანდელი კოეფიციენტის პატრონები, შევძლებთ, თანასწორივით ვესაუბროთ იმ ქვეყნებს, რომლებიც ათობით თაობის მუხლჩაუხრელი შრომითაა აშენებული, მაგრამ სერიოზულად თუ ვიმსჯელებთ, სასწრაფოდაა საჭირო რადიკალური ცვლილებები ამ სფეროში.

უცნაურია ის ფაქტი, რომ ახალმა მთავრობამ და პარლამენტმა დასაქმების პროგრამით კი არა, პირდაპირ შრომის კოდექსით დაიწყო შრომის ბაზრის მოწესრიგება. როგორც წინა ხელისუფლებამ, ისე ახალმაც, პირდაპირ გვითხრა, ინვესტორი რომ არ გაგვექცეს, დასაქმებულის უფლებების დაცვას იმიტომ ვერიდებითო. ოღონდ, რაში უნდა სჭირდებოდეს ინვესტორს დამონებული და უუფლებო მუშახელი, ეს არავის უთქვამს.

არადა, რა უნდა სჭირდებოდეს წესიერ ბიზნესმენს, რომ ფული ჩადოს ჩვენთან: დაბალი გადასახადები, სტაბილური გარემო, კვალიფიციური მუშახელი და სამართალი. ჯერჯერობით, ამისი შეთავაზება არ შეგვიძლია, ჩვენი კანონებიც და გარემოც გათვლილია საეჭვო რეპუტაციის ბიზნესზე. ამიტომაც შემოვიდნენ ავანტიურისტები, ხოლო ჩვენი მუშახელის უუფლებობით ხელი შეეწყო საზღვარგარეთიდან მუშახელის შემოყვანას და ამაში ცალკე მოგება ნახა წინა ხელისუფლებამ. ქართველი შრომითი რესურსი დაიფანტა და ქვეყნის გარეთ გავიდა, ქართული ბიზნესიც მალევე გახდა იძულებული, სხვა ქვეყნებში გაეგრძელებინა საქმიანობა, საქართველო კი გაივსო უცხოური „ფირმებით“, რომლებიც თავიანთ შემოყვანილ მუშას ათჯერ მეტს უხდიან, ვიდრე ქართველებს (ამან უკვე ეთნიკური ჩაგვრის სახე მიიღო).

სიტუაცია კრიტიკულია. არც კი ვიცით, რამდენი შრომისუნარიანი ადამიანი ცხოვრობს საქართველოში, რამდენი მუშაობს და ა.შ. მოკლედ, თუ შრომის ბაზრის შესწავლას ვაპირებთ (სჯობს, ჩვენით შევისწავლოთ, ვიდრე ცხოვრება გვაიძულებს), პირველ რიგში, საკითხი ასე დავსვათ — რით უნდა დაგვეწყო?

დავით წიქარიშვილი

სამუშაო ადგილი და მისი სამართლებრივი სტატუსი

ტერმინ „სამუშაო ადგილის“ გაგონებისას ყოველთვის მახსენდება საარჩევნო სლოგანი „მილიონი ახალი სამუშაო ადგილი“ და ამ სლოგანთან დაკავშირებული კურიოზები. ჯერ დაგვპირდნენ სამუშაო ადგილებს, მერე ოფიციალურადაც გვითხრეს — ეს პირობა შევასრულეთო. გაირკვა, თურმე კანონი მიუღიათ, რომლის მიხედვითაც დასაქმებულად გამოცხადდა ყველა, ვისაც ნახევარი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწა ჰქონდა. მერე ითქვა, საქართველოში მილიონი (?!) ასეთი მიწათმფლობელი გვყავსო. მილიონი მიწათმფლობელი გადამეტებული მეჩვენა, ნახევარი ჰექტარი კი — ძალიან ცოტა, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ეს ხალხი უმუშევარი იყო და ისე გადავიდა „დასაქმებულის“ სამართლებრივ მდგომარეობაში, მათი ფინანსური მდგომარეობა არ შეცვლილა; ისევ საარსებო მინიმუმზე ნაკლები ჰქონდათ შემოსავალი და ეს „დასაქმებული“ ადამიანები ისევ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ დარჩნენ. თუმცა, ეს მხოლოდ დასაწყისი იყო. რაკი ეს „მეთოდი“ დაინერგა, მერე და მერე სულ იმატებდა „დასაქმებულთა“ რიცხვი. ჯერ კიდევ შარშან, გამოკითხვების შედეგების მიხედვით, ყველა, ვისაც რაიმე შემოსავალი ჰქონდა ბოლო კვირის განმავლობაში (არ ჰქონდა მნიშვნელობა, როგორ მიიღო ეს თანხა — შრომით, ჩუქებით, შემთხვევით თუ სხვა საშუალებით), ითვლებოდა დასაქმებულად. ასე შეამცირეს უმუშევართა პროცენტი ლამის ათამდე, მაგრამ ამას კაგრი არაფერი მოჰყოლია არც ხალხის, არც იმ პოლიტიკური ძალისთვის, რომელიც ასეთ მანიპულაციებს მიმართავდა. ამჟამად ამ ყველაფერმა უკვე კურიოზის სახე მიიღო: მოგეხსენებათ, ნებისმიერი საქონელი, რომელსაც მაღაზია ჰყიდის, ერთი კოლოფი ხუთთეთრიანი ასანთიც კი, აუცილებლად უნდა აღირიცხოს და შესაბამისი ჩეკიც უნდა დააფიქსიროს გამყიდველმა. ამით ადვილი ხდება გადასახადების ამოღება, ობიექტის კაპიტალბრუნვის შესწავლა და სხვა ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებაო. ამბობდნენ ამას ადრე და, მგონი, ახალი ხელისუფლების ეკონომიკური გუნდიც ეთანხმება. მაშ, რად არ გვაქვს ზუსტი და ამომწურავი ინფორმაცია დასაქმებულთა ზუსტი რაოდენობის შესახებ, „ნუთუ, ფული უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ადამიანური რესურსი?“

საქმე ის გახლავთ, რომ სურვილი იმისი შესწავლისა, თუ რა ხდება ჩვენს შრომით ბაზარზე, ჩვენში არავის გასჩენია, არ არსებობს პოლიტიკური ნება, თორემ ასეთი უსაშველო რატომ გახდა შრომისუნარიანი ხალხის და სამუშაო ადგილების აღრიცხვა, არ მესმის. მით უფრო, რომ უმუშევარი მოქალაქეების რიცხვი რაც ნაკლები იქნება, იმდენადვე იქნება მოგებული სახელმწიფო და ბიუჯეტი. არ ღირს წაყრუებით, იგნორირებით, ან სულაც, სირაქლემას მეთოდებით ამ პრობლემის მიჩქმალვა. კანონმდებლობა ტერმინ „დასაქმებულს“ უნდა განმარტავდეს, და უნდა განმარტავდეს, რაც შეიძლება, მკაფიოდ.

შრომის ანაზღაურება

თანამედროვე ცივილიზებულ მსოფლიოში მიღებულია, რომ ნებისმიერი საქმიანობა უნდა შეფასდეს ანაზღაურებით, გასამრჯელოთი, შემოსავლით, მოკლედ, ხელფასით. როგორი უნდა იყოს ამ შემოსავლის ოდენობა, ამისი გარკვეული ჩარჩოებიც არსებობს: თუ კაცი თავისი შრომით შოულობს საარსებო მინიმუმის ტოლ ან ნაკლებ ფულს, ის არ უნდა ჩაითვალოს დასაქმებულად. ვიცნობ ათობით „თვითდასაქმებულს“, რომლებიც დღეში რამდენიმე ლარად „საქმიანობენ“, სინამდვილეში ამ ხალხს არჩენს ან საზღვარგარეთ სამუშაოდ წასული ნათესავი, ან ოჯახის წევრი, შედარებით ნორმალური ხელფასის მქონე. საბიუჯეტო დაწესებულებებშიც (განსაკუთრებით — სოფლის სკოლებში) ბევრია ისეთი, ვისი ხელფასიც საარსებო მინიმუმზე ნაკლებია. აქ ანეკდოტური სიტუაციაც ბევრი გვხვდება, არსებობენ „დამსაქმებლები“, რომლებიც საარსებო მინიმუმზე ნაკლებს იღებენ. ვფიქრობ, უაზრობაა, ამ ხალხს ერქვას „დასაქმებული“ ან „დამსაქმებელი“. ესენი ჩვეულებრივი უმუშევრები არიან, ცოტათი შენიღბულნი. მათი შრომის უნარი რომ ჯეროვნად იქნას გამოყენებული, შესაძლოა, ათასი ლარიც არ ეყოს მათ ხელფასს, მაგრამ არ არის სამუშაო ადგილები ქვეყანაში და ამ ხალხსაც შიმშილით სიკვდილს ის ურჩევნია, ოჯახის ძირითად შემოსავალს ოდნავ მაინც წაეშველოს. ის გარემოება, რომ ადამიანი შეიძლება დასაქმებული იყოს მხოლოდ ნაწილობრივ, ანუ, ფაქტობრივად, მაინც უმუშევარია, რომელიმე ნორმატიულ აქტში (ალბათ, კანონში) აუცილებლად უნდა იყოს ფიქსირებული.

მუდმივი და დროებითი სამუშაო ადგილი

ყველას კარგად გვახსოვს ფილმ „არასერიოზული კაცის“ გმირი ნიკო — როგორ გავიდა ბირჟაზე და მიწის ამოსათხრელად გაჰყვა პირველსავე შემხვედრს. იქვე კვალიფიციური მუშა იდგა და — „მე პარკეტჩიკი ვარ, ხელს ხომ არ გავიფუჭებო“, ამაყად განუცხადა დამქირავებელს. მაშინ სხვა დრო იყო, ხელოსანი ფასობდა. ახლა კი ბაზრობებზე ასობით შრომისუნარიანი ისეთი კაცი დგას და მუშაობს, რომლებიც ყველანაირ საქმეს ჰკიდებენ ხელს: სანტექნიკა, პარკეტი, მიწის თხრა... მოკლედ, ყველანაირ შავ სამუშაოზე თანახმა არიან, ოღონდ ხარისხისა რა მოგახსენოთ. არც დიდ გასამრჯელოს ითხოვენ და არც დიდ გარანტიებს ჰპირდებიან დამქირავებლებს. ბევრი ხელობის საფუძვლიანად ცოდნა შეუძლებელია, ეს ყველას კარგად მოეხსენება, მაგრამ დამქირავებელიც ისეთი მიდის ამ ხალხთან, ვისაც ყოველი ლარი წვითა და დაგვით აქვს ნაშოვნი და ზედმეტის გადახდას ურჩევნია, გარისკოს. იმის გამო, რომ სამუშაოც შემთხვევაზეა დამოკიდებული, დამქირავებლებს შორის ისეთებიც მრავლად არიან, ვინც შეგნებულად აგდებს ფასს დაბლა, რაკი მუშას ურჩევნია, მთელი დღის უსაქმოდ დაკარგვის ნაცვლად, საღამოს ორიოდე ლარი მიიტანოს სახლში... ასეთი მუშახელი, დაბალი კვალიფიკაციისა და დაბალი ანაზღაურებით, უკვე იმდენად ბევრია, რომ საფრთხეს უქმნის შრომის ჯანსაღი ბაზრის ფორმირებას (თუ, ღმერთმა ქნა და, ნორმალურად დაიწყო ეს პროცესი). მოკლედ, ქაოსია გამეფებული ამ სფეროში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სეზონური სამუშაოც ბევრია ქვეყანაში. სოფლადაც ყოველთვის ვერ ხერხდება ნადის მოწვევა, ხშირად, განსაკუთრებით — მოსავლის აღებისას, საჭირო ხდება მუშახელის დაქირავება. მეტწილად ქირაობენ გარკვეული სამუშაოს შესრულების ვადით, მაგალითად, მშენებლობის დასრულებამდე. ვფიქრობთ, საკმაოდ დიდია რაოდენობა იმ მუშახელისა, ვინც წელიწადში სულ 2-3 თვის განმავლობაში მუშაობს. ეს ხალხი რა პირობით და რა შემთხვევებში უნდა ჩაითვალოს დასაქმებულებად, ესეც კანონის გადასაწყვეტია. სამუშაო, პერიოდულობის მიხედვით, ალბათ, შემდეგნაირად უნდა გაიმიჯნოს: მუდმივი, არარეგულარული, ერთჯერადი და პერიოდული. ასეთი დაყოფა გაადვილებს საპენსიო კოეფიციენტის დადგენასაც, დაზღვევასაც და შრომის დაცვის სხვა მექანიზმებსაც. თუმცა, ჯერ პარლამენტმა უნდა გადაწყვიტოს, საჭიროა ეს თუ არა.

შრომის დაცვა

ჯერ კიდევ ორი საუკუნის წინ არსებობდა მუშათა მოძრაობები, რომლებიც მანქანებს იმ მოსაზრებით ამტვრევდნენ, რომ ერთი მანქანა ათი და მეტი მუშის მაგივრობას სწევს და თუ დავამტვრევთ, სამუშაო უფრო იქნებაო. დღეს ეს მოსაზრება ღიმილს იწვევს, მარტო იმიტომ კი არა, რომ გულუბრყვილო მუშები ასე ცდილობდნენ, შეენარჩუნებინათ სამუშაო, არამედ იმიტომაც, რომ მაშინდელი „სამუშაო ადგილი“ გულისხმობდა 16 საათიან სამუშაო დღეს და 6 დღიან სამუშაო კვირას, არ იყო „პენსიის“, „პროფდაავადების“, „შრომის დისციპლინის“, „საავადმყოფო ფურცლის“ და ათასი სხვა ინსტიტუტის თუ სამართლებრივი ურთიერთობის აღმნიშვნელი ტერმინები და არც არავის აწუხებდა, მუშის სიკვდილი სიბერით იქნებოდა გამოწვეული თუ ნესტიანსა და ბნელ სარდაფში თექვსმეტსაათიანი მუშაობით. მადლობა ღმერთს, რომ მივიღეთ რვასაათიანი სამუშაო დღე, დასვენების, შვებულების, საპენსიო და ამდაგვარი ინსტიტუტები, მაგრამ საქართველოს კანონმდებლობაც და რეალობაც უფრო იმ პერიოდთანაა ახლოს, როცა 16 საათს მუშაობდნენ ლუკმაპურისთვის, ვიდრე თანამედროვე ევროპულ თუ სხვა ცივილიზებულ კანონმდებლობასთან. სპეციალისტები განასხვავებენ შრომის ორგვარ დაცვას — სოციალურსა და შრომის უფლების დაცვას (არაფერს ვამბობ შრომის უსაფრთხოებაზე, სხვა წერილის თემაა). ჯერ ერთი, ქალის შრომას რომ განსაკუთრებული დაცვა სჭირდება, მგონი, საქართველოს გარდა, ყველა ქვეყანაში გაიგეს. შობადობა მკვეთრადაა დაცემული, პროცენტულად ამდენი დანგრეული ოჯახი და მარტოხელა ახალგაზრდა, მგონი, არც ერთ ქვეყანას არ ახსოვს მსოფლიო ისტორიის მანძილზე, სახელმწიფო კი, ნაცვლად იმისა, შეუმსუბუქოს ოჯახს (ან მარტოხელა ქალს, რაც არც ისე იშვიათია ახლა) ბავშვის აღზრდისთვის საჭირო დრო და ნერვები, პირიქით, ისეთ პირობებს ქმნის, პრაქტიკულად ღია ტექსტით უცხადებს: იყოლიეთ შვილს? დაკარგავ სამსახურს, შეიძლება, ვეღარც იშოვო სხვა და შენ და შენს შვილს შიმშილი გელითო.

მეორე: პენსია რომ სტაჟის მიხედვით უნდა იყოს, ბავშვისთვისაც ნათელია. იქნებ, არ უნდა კაცს სიბერეში შვილების კმაყოფაზე ყოფნა! გულითაც რომ სურდეს, ვერ შესძლებს თავისი ხელფასიდან ნაწილის მოგროვებას საპენსიო ფონდში, ასეთი ფონდი არ არსებობს და სახელმწიფოს ეს არ აწუხებს.

მერე — ხელშეკრულება, რომელიც ფორმდება დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის, რაღაც სტანდარტებში უნდა ჯდებოდეს, ამის თაობაზე კანონიც და სამართლებრივი კულტურაც უფრო მკაფიო და გასაგები უნდა იყოს, თორემ მონური შრომის ელემენტები ისედაც მომრავლდა ბოლო წლებში დადებულ შრომის ხელშეკრულებებში.

და ბოლოს — უმუშევრობის დახმარება. აქაც შესაცვლელია მიდგომა. როცა ერთ დასაქმებულზე (რეალურად დასაქმებულს ვგულისხმობ) მოდის 3 პენსიონერი და 2 უმუშევარი, უნდა მივხვდეთ, რომ ინვესტორის ამარად დარჩენა არას გვარგებს და ეკონომიკური პოლიტიკა ძირფესვიანადაა შესაცვლელი, რაკი აქამდე მოგვიყვანა ასეთმა კურსმა.

დასკვნების სახით ორიოდე ფრაზაში მინდა ჩამოვაყალიბო ლამის მთელი საზოგადოების გულისტკივილი დასაქმების პოლიტიკასთან მიმართებაში:

სამართლებრივი მოწესრიგება თუ არ იქნა, თუ კანონს მიღმა დარჩა ეს შრომითი ურთიერთობები და მათი მონაწილენი, შეგვეძლება, პირდაპირ განვაცხადოთ, რომ ველური (უფრო — პირუტყვული) კაპიტალიზმის ეპოქაში ვცხოვრობთ.

როცა ადამიანს სამუშაო დღის შემდეგ 5 ლარი რჩება და მან მამასისხლად უნდა შეიძინოს ელექტროენერგია, გაზი და დასუფთავების გადასახადიც თვეში 10 ლარს აღწევს, ეს სოციალური პოლიტიკა კი არა, მუდმივი წამებაა. მარტო ამორალობა კი არ არის ასეთი ხალხისგან ფულის მოთხოვნა, შეუძლებელიც კია ამ ფულის ამოღება,

„ინვესტორები“ და ათასი ჯურის ფირმები ჩვენს ქვეყანას ვერ და არ აშენებენ, ჩვენ თვითონ უნდა ავაშენოთ და ამისთვის ჩვენი რესურსი უკეთ უნდა გამოვიყენოთ.

დიდი ილიასი არ იყოს, „თაფლი თუ არ იყო, ამოდენა ბუზი ბაღდადიდან რად მოფრინდა?“

მოამზადა
როლანდ ხოჯანაშვილმა
psnews.ge

თვითმმართველობის დროა!

ღია საზოგადოება საქართველო / OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
USAID ამერიკელი ხალხისგან
დემოკრატიული მმართველობა საქართველოში

შენ ხარ საქართველოს მოქალაქე და გაქვს კანონით გარანტირებული უფლება აირჩიო ხელისუფლება, რომელიც ახლოს არის შენთან, შეგიძლია ყოველდღიურად მოსთხოვო დანაპირების შესრულება და შენთვის მნიშვნელოვანი საკითხები შენი მონაწილეობით მოაწესრიგო და გადაწყვიტო.

ეს უფლება აქამდე მხოლოდ ქაღალდზე იყო დეკლარირებული და მისი განხორციელების საშუალება ადგილობრივ მოსახლეობას არ ეძლეოდა.

შემუშავდა ახალი კანონი თვითმმართველობის შესახებ და იწყება თვითმმართველობის რეალური რეფორმა. ამის საფუძველზე შენ, საქართველოს მოქალაქეს, ამ უფლების განხორციელების საშუალება მოგეცემა.

კონკრეტულად, რატომ უნდა იყო დაინტერესებული ამ კანონის მიღებით? უფლებები, რომელსაც შენ - საქართველოს მოქალაქე თვითმმართველობის რეფორმის განხორციელების შემთხვევაში მიიღებ:

• არჩევითობა
ვერავინ დაგინიშნავს გუბერნატორს, მერს, გამგებელსა და რწმუნებულს, შენ თავად აირჩევ! შენს საცხოვრებელ გარემოზე იზრუნებს ის, ვისაც პირადად იცნობ და ენდობი.

• თანამონაწილეობის საშუალება
შენ ხარ მთავარი ფიგურა, ვინც ადგილობრივ პრობლემებს განსაზღვრავს და პრიორიტეტებს გეგმავს. თავად წყვეტ, როგორ და რაში დაიხარჯოს ფული: მოგვარდეს წყლით მომარაგების პრობლემა, თუ მოეწყოს ავტობუსის მოსაცდელი.



• ფინანსური დამოუკიდებლობა
თვითმმართველობა აღარ იქნება მთლიანად დამოკიდებული ცენტრალურ ბიუჯეტსა და ცენტრის გადაწყვეტილებებზე. ბიუჯეტში ერთ სულ მოსახლეზე დასახარჯი თანხა გაიზრდება. შენ და შენ გარშემო მყოფ ადამიანებს გექნებათ არა მარტო უფლება, გაიუმჯობესოთ თქვენი საცხოვრებელი პირობები, არამედ შესაბამისი ფინანსური რესურსიც.

• საზოგადოებრივი მომსახურების ხელმისაწვდომობა
მუნიციპალური მომსახურება უახლოვდება თითოეულ მოსახლეს. მაგალითად, შენთვის საჭირო ცნობის ასაღებად არ მოგიწევს ათეულობით კილომეტრის გავლა. მისი აღება ადგილზე იქნება შესაძლებელი.





• ადგილობრივი ხელისუფლების ანგარიშვალდებულება
მმართველი ანგარიშვალდებულია მხოლოდ შენი და კანონის წინაშე. შენი ხმა და მოთხოვნები არა მარტო უნდა მოისმინონ, არამედ უნდა განახორციელონ კიდეც. არ დაგჭირდება ყოველ ნაბიჯზე საქართველოს ხელისუფლებასთან დაკავშირება ან სხვადასხვა მწვავე ფორმით პროტესტის გამოხატვა.

• მომსახურების უკეთესი ხარისხი
შენს კუთხეს, ქალაქს, სოფელს, თუ უბანს მართავს ის, ვისთვისაც ისევე ახლოა ადგილზე არსებული პრობლემები, როგორც შენთვის.

თვითმმართველობის დროა!

შენი აზრი მნიშვნელოვანია!

შემოგვიერთდი:
www.tvitmartvelobisdroa.ge
www.droa.ge
www.Facebook.com/pages/თვითმმართველობის-დროა/

თუ გინდა, რომ ეს ყველაფერი რეალობად იქცეს, მიიღე მონაწილეობა რეფორმის განხორციელების პროცესში, გაგვიზიარე შენი აზრი და ჩაერთე დისკუსიაში Facebook-ზე (თვითმმართველობის დროა) და ვებგვერდზე www.tvitmartvelobisdroa.ge, www.droa.ge

„რთველი 2013“-ისთვის მზადება დასრულებულია

სოფლის მეურნეობის სამინისტრომ „რთველი 2013“-ისთვის დაგეგმილი მოსამზადებელი სამუშაოები დაასრულა.
„რთველი 2013“-ის ორგანიზებულად ჩასატარებლად გურჯაანში საკოორდინაციო შტაბი გაიხსნა, რომელსაც ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ლევან დავითაშვილი ხელმძღვანელობს. შტაბის წევრები სოფლის მეურნეობის, შინაგან საქმეთა და ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლები არიან.

„ოფიციალურად შტაბს საკოორდინაციო სამუშაო ჯგუფი ჰქვია, რომელმაც რთველის ორგანიზებულად ჩატარება უნდა უზრუნველყოს. შტაბში შინაგან საქმეთა სამინისტრო საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიმართულებით იმუშავებს. საკოორდინაციო შტაბში ფინანსთა სამინისტრო სუბსიდირების პროგრამით გასაცემი თანხების მონიტორინგის კუთხით არის ჩართული.

საკოორდინაციო შტაბის შიდა ფუნქციები ასეთია: შტაბში მომუშავე ოპერატორებს საწარმოში ჩასაბარებელი ყურძნის რაოდენობისა და ხარისხის აღწერა და ამ მონაცემების ელექტრონულ ბაზაში შეტანა ევალებათ. ოპერატორებს ზედამხედველობას მობილური მონიტორინგის ჯგუფები გაუწევენ, რომლებიც, საჭიროების შემთხვევაში, ოპერატორებს ჯიშების იდენტიფიკაციაშიც დაეხმარებიან. მონაცემთა ბაზაში მონაცემთა ჯამური რაოდენობის გადამუშავება მოხდება. შტაბის მუდმივი შტატის ფუნქციაა, ადგილობრივ გამგებლებთან და რწმუნებულებთან ერთად, დაგეგმონ და სწორად აკონტროლონ ყურძნის კრეფა გეოგრაფიული და დროის თვალსაზრისით. სოფლის გამგებლებთან და რწმუნებულებთან ერთად მონიტორინგის ჯგუფის წევრები დაეხმარებიან მეწარმეებს, გლეხებსა და ფერმერებს, ნაკლები შეფერხებებით, რიგების გარეშე შეძლონ ყურძნის მიღება-ჩაბარება. ამოქმედდა ცხელი ხაზიც (2470101), რომელიც 24 საათის განმავლობაში იმუშავებს“, — განმარტავს ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი **ლევან დავითაშვილი.**

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების საექსპორტო არეალის გაფართოებამ, ასევე რუსეთში, როგორც ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბაზარზე ქართული პროდუქციის დაბრუნებამ, ივლისის მონაცემებით, გასული წლების ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ექსპორტის 43%-იანი ზრდა განაპირობა. ამ ფონზე, სახელმწიფოს დახმარება სწორი მექანიზმის შექმნისკენ იქნება მიმართული, რომელიც გლეხს უფრო კონკურენტუნარიანს, წარმოების პროცესს კი უფრო თანამედროვეს გახდის. სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხა, ღვინის პოპულარიზაციის ხელშეწყობას მოხმარდება. ამგვარი მიდგომა ქართულ პროდუქციაზე მოთხოვნას გაზრდის როგორც შიდა, ისე საექსპორტო ბაზარზე. ეს კი, საშუალებას მისცემს ადგილობრივ კომპანიებს გლეხებისგან სულ უფრო მეტი ყურძენი ჩაიბარონ.

სოფლის მეურნეობის მინისტრი **შალვა ფიფია** ამბობს, რომ წელს სახელმწიფო მეწარმეებს შეღავათიანი აგროკრედიტით დაეხმარება. შეღავათიანი აგროსესხების პროექტს მეხუთე კომპონენტი დაემატება და 50 მილიონი ლარი გაიცემა, რომლის ფარგლებშიც 15-თვიან სესხებს ღვინის კომპანიები მიიღებენ. შეღავათიანი სესხები ღვინის მწარმოებელი კომპანიებისათვის (15-თვიანი სესხი) 12-დან 15%-მდე იქნება, საიდანაც 9%-ს სახელმწიფო დაფარავს. ერთ ლარად, ან ერთ ლარზე მეტ ფასად ყურძნის შესყიდვის შემთხვევაში, სახელმწიფო პირდაპირი დახმარების წესით შესაბამისი თანხით უზრუნველყოფს ღვინის მწარმოებელ კომპანიებს.

2013 წლიდან სახელმწიფო იზრუნებს ბიზნეს სექტორის ინტერესების დაცვაზე და სრულად გაითვალისწინებს გლეხისა და ფერმერის ინტერესებს. სახელმწიფო აღარ იქნება კერძო სექტორის კონკურენტის როლში.

წელს სახელმწიფო სუბსიდიის პროგრამა სრულიად ახლებურად განხორციელდება: სუბსიდიის ბიუჯეტი 25 მილიონ ლარს შეადგენს. სუბსიდიის პროგრამა ყოველგვარი ვაუჩერის გარეშე ეხმარება საწარმოს და ნებაყოფლობითია. სახელმწიფო სუბსიდია 1 კგ რქაწითელსა და მწვანე კახურზე შეადგენს 40 თეთრს, ხოლო 1 კგ საფერავზე — 25 თეთრს. ლევან დავითაშვილის განცხადებით, კერძო საწარმოები მხოლოდ ე.წ. კონდიცირებულ, ხარისხიან ყურძენს ჩაიბარებენ.

„სახელმწიფო იზრუნებს კერძო სექტორის ინტერესების მაქსიმალურ დაცვასა და პარიტეტულობის შესანარჩუნებლად გლეხების დახმარებაზე — არ მოხდება დიფერენცირება მცირე და დიდი ფართობებიდან მიღებული ყურძენის ჩაბარებაზე, თანაბარი პირობები შეიქმნება მეწარმეებისთვის და მცირე ფერმერებისთვის. მეტი ფასის დაწესება ფერმერებს მოტივირებულს გახდის უფრო ხარისხიანი ყურძენი ჩააბარონ. კერძო სექტორს სჭირდება ხარისხიანი ყურძენი. გლეხებს და მევენახეებს, რომლებიც ვერ მიაღწევენ მეწარმეებთან შეთანხმებას, შეუძლიათ მიმართონ სახელმწიფო საწარმოებს. სახელმწიფო შეასრულებს დამხმარე, სარეზერვო ფუნქციას. წინა წლებისგან განსხვავებით, სახელმწიფო არ შევა პირდაპირ კონკურენციაში კერძო სექტორთან, ანუ უხეშად რომ ვთქვათ, მას არ წაართმევს ყურძენს,“ — აცხადებს ლევან დავითაშვილი.

ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის განცხადებით, რთველი აგვისტოს ბოლოს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან (სოფლები — სამთაწყარო, ფიროსმანი, საბათლო) დაიწყება, ხოლო 10 სექტემბრიდან რთველში ჩაერთვებიან ჯერ სიღნაღის, შემდეგ კი გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფლები.

შტაბის ხელმძღვანელი ასევე აღნიშნავს, რომ „რთველი 2013“ ერთ-ერთი წარმატებული პროექტი იქნება, რადგან წლევანდელი ახლებური მიდგომები ღვინის მწარმოებლებთან, გლეხებთან და დამოუკიდებელ ექსპერტებთან ინტენსიური მუშაობის შედეგად შემუშავდა.

ლევან დავითაშვილი გურჯაანში, საკოორდინაციო შტაბის გახსნაზე

„რთველი 2013“-ის ფარგლებში ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე მოსახლეობასთან შეხვედრებსაც მართავს. ლევან დავითაშვილი და ღვინის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლები გურჯაანის მუნიციპალიტეტში, სოფელ მუკუზანში იმყოფებოდნენ და შტაბის წევრებთან ერთად ადგილობრივ გლეხებსა და ფერმერებს შეხვდნენ. შეხვედრების მიზანს რთველის ორგანიზაციული საკითხების განხილვა და ადგილობრივი მოსახლეობისთვის შტაბის ფუნქციებისა და უფლება-მოვალეობების გაცნობა წარმოადგენს.

საორგანიზაციო შტაბის ხელმძღვანელი ამბობს, რომ წელს, რუსულ ბაზარზე დაბრუნების შემდეგ, მუკუზანზე განსაკუთრებული მოთხოვნაა, რადგან რუსეთში ღვინო „მუკუზანს“ კარგად იცნობენ და დიდი ინტერესით ელიან.

სავარაუდოდ, სოფელ მუკუზანში წელს 800 ტონა საფერავი უნდა დაიკრიფოს. ხარისხიანი ნედლეულის ფასი, წინასწარი მონაცემებით, 1 ლარი იქნება, რომლის 25%-ს სახელმწიფო გადაიხდის. საწარმოები უკვე მზად არიან ყურძნის ჩასაბარებლად. რთველი სოფელ მუკუზანში, დაახლოებით, ორ კვირაში დაიწყება.

რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, სახელმწიფოს განსაზღვრული აქვს აქტიურად იმუშაოს ისეთი პროგრამების განხორციელებაზე, როგორიცაა:

1. ვენახების ფართობის დადგენა, აღწერა და ვენახების აღრიცხვიანობის საკადასტრო სისტემის შექმნა. დარაიონება ჯიშების მიხედვით;

2. ყურძნის რაოდენობისა და წარმოების მასშტაბების განსაზღვრა სხვადასხვა რაიონების მიხედვით, რათა ამ კრიტერიუმებით გამოიკვეთოს ღვინის სახეობები, რომელიც შეიძლება იყოს გამოყენებული წარმოებაში და რეალიზებული ადგილობრივ ბაზარზე;

3. შიდა კოოპერირება ცალკეული მეურნეობების მიხედვით; ერთობლივი ძალისხმევის ხელშეწყობა მცირე საწარმოების შესაქმნელად და სარეალიზაციო ბაზრებზე გასასვლელად, რის შემდეგაც, მცირე ბიზნესის წარმომადგენლები აღარ იქნებიან დამოკიდებული მსხვილ მეწარმეებზე, სუბსიდირებაზე და ფასების ცვალებადობაზე;

4. სახელმწიფო ხელს შეუწყობს ფერმერთა კოოპერატივების შექმნას, რომელიც პასუხისმგებელი იქნება საკუთარი პროდუქციის რეალიზაციაზე.

ღვინის კომპანიები შეღავათიან სესხებს დადებითად აფასებენ

„რთველი 2013“ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფლებიდან დაიწყო. ზოგიერთი საწარმო ყურძენს 30 აგვისტოდან უკვე იღებს. ყვარელში რთველის დაწყებას 10 სექტემბრიდან ვარაუდობენ. რთველი კულმინაციას სექტემბრის შუა რიცხვებში მიაღწევს.

ღვინის მწარმოებელი კომპანიები ყურძნის ჩასაბარებლად მზად არიან. მათი განცხადებით, ამაში სახელმწიფოს მიერ „რთველი 2013“-ისთვის სპეციალურად გამოყოფილი 15%-იანი სესხები, საიდანაც 9%-ს თავად სახელმწიფო ფარავს, ძალიან დაეხმარებათ.

კომპანია „თბილღვინოს“ დამფუძნებელი **ზურაბ მარგველაშვილი** სახელმწიფოს მიერ ღვინის კომპანიების დასახმარებლად გადადგმულ ნაბიჯს დადებითად აფასებს და ამბობს, რომ შეღავათიანი სესხით აუცილებლად ისარგებლებს.

„ჩვენი კომპანიისთვის ეს კრედიტი მნიშვნელოვანია, რადგან რთველის პერიოდში, სექტემბერ-ოქტომბერში, ხდება მნიშვნელოვანი საკრედიტო ვალდებულებების აღება ბანკიდან იმისთვის, რომ მოხდეს ყურძნის შეძენა და მისი გადამუშავება. ეს თანხები არის ძალიან დიდი და მოკლე პერიოდში იხარჯება. ამ მხრივ სახელმწიფოს თანადაფინანსება, თანაც მთელი 9%-ით, ძალიან მნიშვნელოვანია. რაც შეეხება სუბსიდიებს, რომელიც ყურძნის ფასზეა დამოკიდებული, სახელმწიფოს აქვს ასეთი პირობა მეწარმეებისთვის: თუკი კომპანია 1 კგ რქაწითელისა და მწვანე ჯიშის ყურძენში გადაიხდის 1 ლარს, ამ შემთხვევაში სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, რომ 40 თეთრს დაუბრუნებს კომპანიებს. იგივე პრინციპია საფერავზეც; თუკი ამ ჯიშის ყურძენს კომპანია იყიდის 1 ლარად, სახელმწიფო მათ დაუბრუნებს 25 თეთრს. სუბსიდირების ეს პროგრამაც მისაღებია.

ისევ სესხის თანადაფინანსების პრინციპს მინდა დავუბრუნდე, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი, პრაქტიკული დახმარება კომპანიების, მათი ფინანსური მდგრადობისთვის; აქამდე სახელმწიფოს ამდაგვარი ნაბიჯი არასდროს გადაუდგამს“, — ამბობს ზურაბ მარგველაშვილი.

ღვინის კომპანია „ტიფლისკი ვინნი პოგრების“ წარმომადგენელი **კობა კალავრიშვილი** სახელმწიფოს დახმარებას დროულს უწოდებს და ამბობს, რომ შეღავათიანი სესხი საქმიანობაში ძალიან წაადგება. მისმა კომპანიამ ყურძნის ჩაბარება 30 აგვისტოს დაიწყო და 700 ტონამდე უკვე მიღებული აქვს. კალავრიშვილის თქმით, „ტიფლისკი ვინნი პოგრების“ ძირითადი წარმოება თბილისშია. გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხეში კი იჯარით აიღეს ქარხანა და ყურძნის ნაწილს იქ ამუშავებენ: **„3500 ტონის შესყიდვაზე გვქონდა საკუთარი თანხები. ახლა შესყიდვები დავიმატეთ. ჩაგვერიცხება თანხა და გავზრდით შესყიდვებს 6 ათას ტონამდე. პროცედურულადაც არაფერი სირთულე არ ყოფილა — სადღაც 2 დღეში დაგვიმტკიცეს სესხები. რაც შეეხება ფასს, ჩვენ ყურძენს შაქრის შემცველობის მიხედვით ვიბარებთ. 1 კგ ყურძნის ფასს 1 ლარს ვვარაუდობთ. თუ შაქრის შემცველობა მაღალი იქნება, კიდევ დავამატებთ თანხას. გასაღების ბაზრები გვაქვს უკრაინაში, ყაზახეთში, ბალტიისპირეთის სამივე ქვეყანაში, პოლონეთში, გერმანიასა და კანადაში. სულ 11 ქვეყანაში გაგვაქვს. ახლა უკვე ამ რიცხვს რუსეთიც დაემატება — სექტემბერში იქაც გავიტანთ. რუსეთის ბაზარი გაყიდვებში წაადგება კომპანიებს. ჩვენც იმიტომ ავიღეთ სესხი და დავიმატეთ ეს 2 ათასი ტონა, რომ გავიდეთ რუსეთის ბაზარზე“.**

რუსეთში ღვინის ექსპორტი ივლისის ბოლოდან კომპანია „თბილღვინომაც“ დაიწყო, თუმცა, ექსპორტის რაოდენობის გაზრდას უახლოეს მომავალში გეგმავენ.

„რუსეთის ბაზარზე გასვლა მთელ რიგ პროცედურებთანაა დაკავშირებული, მათ შორისაა აქციზური მარკების მიღება. ჯერჯერობით, სტატისტიკაზე ადრეა ლაპარაკი, იმიტომ, რომ გადატვირთვები მხოლოდ საწყის ეტაპზეა. რუსეთის ბაზარი ღვინის მოხმარების თვალსაზრისით მზარდია. შესაბამისად, ქართული ღვინისთვის და არა მარტო ჩვენთვის, არამედ მსოფლიო ღვინის ექსპორტიორი კომპანიებისთვის რუსეთის ბაზარი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია. თუკი გავითვალისწინებთ ქართული ღვინის მაღალ ცნობადობას რუსეთში, შესაბამისად, ქართული მეღვინეობისთვის დიდი მნიშვნელობა ექნება რუსულ ბაზარზე დაბრუნებას“, — ამბობს მარგველაშვილი.

რუსეთის ბაზარზე ქართული ღვინის კომპანიების დარუნებას, ასევე სახელმწიფოს დახმარების პროგრამას სხვა მეწარმეებიც მიესალმებიან, თუმცა, ამ ეტაპზე სესხის აღებისგან ზოგიერთი თავს იკავებს.

„მომყავს ყურძენი და ღვინოსაც ვაწარმოებ. სესხებთან დაკავშირებით არ მქონია ინტერესი. ისე, დადებით შეფასებას ვაძლევ. ვისაც სჭირდება, მათთვის დიდი დახმარება იქნება. პირადად მე, ამ ეტაპზე კრედიტის აღებისგან თავს შევიკავებ. რუსული ბაზრის გახსნას კი მივესალმები და გამოვიყენებ ღვინის რეალიზაციისთვის“, — ამბობს მეღვინე **სერგო არჯევანიძე**.

„რთველისთვის მზად ვართ. როგორც ყოველთვის, ხარისხიან და დაუზიანებელ ყურძენს ჩავიბარებთ. ამ ეტაპზე ჩვენ არ გვჭირდება სესხი და არც აგვიღია. ისე, ძალიან კარგია, სახელმწიფო რომ ეხმარება მეწარმეებს რთველის ჩატარებაში. რაც შეეხება რუსეთის ბაზრის გახსნას, გადასარევი ამბავია, რადგან ეს ქართული კომპანიებისთვის ძალიან დიდი და მნიშვნელოვანი გასაღების ბაზარია“, — აცხადებს ღვინის კომპანია „ასკანელი ძმების“ დამფუძნებელი **ჯიმი ჩხაიძე**.

კომპანია “თბილღვინოში“

კობა კობალაძე

ექსპერტი სოფლის მეურნეობის საკითხებში **კობა კობალაძე** ამბობს, რომ ფინანსური დახმარება მეწარმეებს დიდ შეღავათებს მისცემს, მაგრამ ეს პროცესი ფრთხილად და პროფესიონალურად უნდა წარიმართოს.

„უნდა იყოს შედგენილი სერიოზული ბიზნესგეგმები პროფესიონალების მიერ და არა ვითომ მენეჯმენტის მცოდნე ადამიანებისგან. სწორედ, პროფესიონალურად უნდა გაიცეს ეს სესხები. ძალიან კარგად ვიცით ფაქტები, თუ რა პრობლემები შეექმნათ მეწარმეებს ბანკის სესხების გამო. ბევრმა დაკარგა არა მარტო თავისი საწარმოები, არამედ საცხოვრებელი სახლებიც კი. აუცილებელია დახმარება არამარტო სესხის გაცემაში, არამედ შემოწმებაში, ადგილობრივი პირობების ნახვაში, რამდენად შეუძლიათ მეწარმეებს ამ სესხის დაფარვა. არა იმიტომ რომ მეწარმეები წნეხში მოაქციონ, არამედ ახალ უბედურებას რომ არ გადაეყარონ, რაც, სამწუხაროდ, ძალიან ხშირია საქართველოში. აქ აუცილებელია პროფესიონალების ჩარევა, რომ არ გაიჭედონ წარმოებაში. შეღავათიანი კრედიტის გაცემა ძალიან კეთილი საქმეა, ასე განვითარდა ევროპა და აზიის მთელი რიგი ქვეყნები და აუცილებელია ნამდვილად“, — აცხადებს კობალაძე.

რაც შეეხება უშუალოდ ფერმერებს, რთველთან დაკავშირებით იმედიანი მოლოდინები აქვთ.

„ჯერ ჩვენთან რთველი არ დაწყებულა. ჯერჯერობით, ჩვენი ყურძენი მკვახეა. რთველი რომ დაიწყება, მერე დადგინდება ფასი. შარშან რქაწითელი 1 ლარად ჩავაბარეთ. იმის წინა წელს — 60 თეთრად. ახლა ლარზე მეტის მოლოდინი გვაქვს. ამბობენ, 1 ლარი და 20 თეთრი, 1 ლარი და 30 თეთრი იქნებაო“, — გვეუბნება გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩალაუბნის მცხოვრები **გიორგი ღვინიაშვილი**.

ყვარლის მუნიციპალიტეტში მცხოვრები **ნიკოლოზ ზუბიტაშვილის** თქმით, ჯერ არც მათთან დაწყებულა რთველი: **„შეიძლება, 10-ში დაიწყოს. გვეუბნებიან, რომ ყურძნის ჩაბარების პრობლემა არ გვექნება. ქარხნები უკვე გამზადებულია. ამბობენ, რომ კერძო კომპანიები უფრო მეტ ფასს მოგვცემენ. თელავში ლარი და 10 თეთრი იქნებაო. ყველას გვინდა დროულად დავკრიფოთ. აქვე გვაქვს სოფელში ქარხნები და გვირჩევნია აქვე ჩავაბაროთ. კერძო კომპანიები ცდილობენ, რომ ბევრი ჩაიბარონ; ასევე აქტიურობენ სახელმწიფო კომპანიებიც. ფასიც, რასაც ასახელებენ, ჩემთვის მისაღებია.“**

ᲐᲤᲮᲐᲖᲣᲠᲘ ᲓᲦᲘᲣᲠᲔᲑᲘ

ჩემი თეთრი მამიდა

ნანა ჯეჯელია
აშშ, კალიფორნია

ის და მამა ერთმანეთისთვის ბიძაშვილ-მამიდაშვილნი იყვნენ. ორივეს მამები დაღუპული ჰყავდათ, ბელა მამიდას 33 წლისა მოუკვდა, მამაჩემს კი 37-ში დაუხვრიტეს კიდევ უფრო ახალგაზრდა მშობელი...

ჩემი ბებია მხოლოდ 22 წლის იყო, შუაღამისას მისი მეუღლე ტყავის ქურთუკიანმა კაცებმა რომ სახლიდან გაიყვანეს. ტატუშა ერქვა ბებიას, მაგრამ განსაკუთრებული სიყვარულით ყველა ტაჩიას, ტატის ეძახდა. თავისი ნებით და გადაწყვეტილებით, მამისეულ სახლში იყო ერთადერთი შვილით მობრუნებული და დედასთან, რძალთან და ძმიშვილთან ერთად ცხოვრობდა. ბევრჯერ გამიგია ძილის წინ, ლოცვისას, ჩვენს ჩამოთვლას რომ მორჩებოდა, ძმიშვილს და მის ოჯახს შეავედრებდა უფალს: „ღმერთო, შენ მიმყოფე კარგად ჩემი ბელა და მისი შვილებიო“. უკაცო ოჯახში იზრდებოდნენ ერთად, მამიდას დედა აფხაზი ჰყავდა, „თამარა მამა“-ასე ეძახდა მას ყველა. ცალკე თემაა მამაჩემის რიდი, სიყვარული და პატივისცემა მის მიმართ. ბავშვების აღზრდას ცაცუ ბებიას სიბრძნე და ტაჩიას დაბალანსებული ხასიათი ავსებდა. ყველას თავისი მოვალეობა ჰქონდა და, რადგან მამები არ ჰყავდათ, ბავშვები ორმაგ სიყვარულს იღებდნენ ქალებისგან.

***

მამიდა ალბინოსივით თეთრი, ქათქათა დაიბადა თურმე და ამიტომაც დაურქმევიათ მისთვის ბელა. მერე წლებმა ულამაზეს ქერათმიან ასულად აქცია და ეს სილამაზე იყო, ბედისწერად რომ აედევნა... აკი ვთქვი, ოჯახი უკაცო იყო-მეთქი და ჯოხიც ბიჭზე გადატყდა: მამაჩემი სკოლიდან გარიცხეს (უნიჭიერესი იყო, უსწავლელობა არ ყოფილა ამის მიზეზი)... თუ შევძლებ და მოვერევი ჩემს ემოციას, ამაზე სხვა დროს მოვყვები... მამიდამ კი ბელორუსიაში სასოფლო-სამეურნეო აკადემია დაამთავრა. ის საოცარი სილამაზის ადამიანი იყო, თაფლისფერ თვალებში ჩამდგარი უძირო სევდით და ღია ჩალისფერი ნაწნავით, დედა-ბებია რომ „შოლიო“ თმებს ეძახდა). კეფასთან იხვევდა ამ სილამაზეს, განუმეორებელი ღიმილი ჰქონდა, უტკბილესი იყო მისი ხმის ტემბრი („შაქარი ამოსდის ქალს პირიდანო“, ისევ დედა-ბებიას მოვიშველიებ). ამავე დროს ძალიან საქმიანი და პრაქტიკული გახლდათ. ასხივებდა მისი ზრდილობა და მოწიწება ადამიანების მიმართ. იშვიათია, ნახო ერთ ადამიანში თავმოყრილი ამდენი ღირსება ერთად. ქედს მოგადრეკინებდა ისეთი უბრალოება და სისადავე ჰქონდა, ჩაცმულობაშიც ვლინდებოდა ეს და მე ამას იმ ერთადერთი პლატინის ბეჭედშიც ვხედავდი, დეიდებისგან საქორწილო საჩუქრად რომ ჰქონდა მიღებული და არასდროს იშორებდა თითიდან... საზოგადოების იმ საუკეთესო ნაწილს წარმოადგნდა, ასე რომ ამშვენებდა აფხაზეთს... ჰორიზონტდახშულ ადამიანს რომ ჩემი ტოლიაო, აფიქრებინებდა და მრავლის მნახველი და მცოდნე — იხიბლებოდა, რიდით და კრძალვით ივსებოდა... ასე მგონია, გალს და განსაკუთრებით — ლენინის ქუჩას, დღემდე სათუთად შემონახული აქვს მისი მოზომილი და მსუბუქი ნაბიჯების დამფრთხალი ექო...

***

როგორც ყველა ქალაქს, ჩემს ქალაქსაც ეს გზატკეცილი გასდევდა მთავარ მაგისტრალად მაშინ და ამ ქუჩაზე ცხოვრობდნენ ისინი. რა შემოინახა ჩემმა მეხსიერებამ, სად იწყება და მთავრდება ეს გზა: იქნებ მისი დასაწყისი ეთერიების „ძეკვენებზე“ შემდგარი ხის ოდა სახლია, რომელსაც წინ ხეებად ქცეული თეთრი და ვარდისფერი კამელიები ამშვენებდა... და მე ჯერ არ ვიცი, რომ იქ ჩემი გულნარა მასწავლებელი ცხოვრობს, მაგრამ მაინც ვჩერდები და ეზოს სიღრმეში ვიხედები (არ ვასრულებ დედა-ბებიას თხოვნას: „ნუ მიეტუზები, გოგო, ეთერიების ჭიშკარს, ყვავილების მეტი რა გაქვს, დედა, ეზოშიო“). ან უფრო მოშორებით, ფუფას სახლთან ხომ არ იწყება, იმ ფუფასი, ყველას ჭირისუფალი და გამლამაზებელი რომ იყო, მე სიყვარულით „ქულუს“ რომ მეძახდა და ყოველთვის ჰქონდა ჩემთვის გადანახული კამფეტები! თავის დას რომ ობობას ქსელივით დახლართული ძაძებით გლოვობდა და საოცარი, სუფთა ურთიერთობა ჰქონდა მამაჩემთან. სახლში სტუმრად მოსული, ტახტზე ბავშვივით მიუწვებოდა გვერდით და სანამ დედაჩემი გამჭვირვალე ჭიქაში, მზიანი ლიმონის ნაჭრით, ჩაის მიართმევდა, მას უკვე ეძინა დაღლილს. მამა ფრთხილად ადგებოდა, ძაძებს ამოუკეცავდა, პლედს დაახურავდა და ჩვენ ხმაურს აგვიკრძალავდა.

წლების მერე, როცა აფხაზეთი დაიკარგება ჩვენთვის, ყველაფერი, რაც ლამაზი იყო იქ, ბინდისფერს გადაიკრავს და მხოლოდ მოგონებებში აელვარდება ისე, რომ გულის შეტევამდე მიგიყვანს — ფუფას დედაჩემი გაალამაზებს და გააცილებს თავის სიყრმის შვილთან, აბიკოსთან, მარადისობისკენ მიმავალ გზაზე...

გზადაგზა ჩემს სკოლასაც გამოვუვლი, მეოთხე სკოლასაც გავხედავ, ვეცდები, ისევ ამოვიკითხო ენის ბორძიკით ის გრძელი ლოზუნგი, მისი შესასვლელი კარის თავზე რომაა გამოკრული და ამდენ წვალებაში, შეუმჩნევლად დამიზეპირებია კიდეც: „არა არ არის რა იმაზე ამაღლებული და კეთილშობილური, ვიდრე — ჰბაძავდე ლენინს! თავდადებულად იბრძოდე საქმისათვის, რომელსაც მან სიცოცხლე შეალია!“ (?!) ევკალიპტის ხესაც მოვეფერები, დრო და დრო კანს რომ იცვლის, ტანი თეთრად უელავს, ერთი ნერგისგან ოთხი გიგანტი რომ ამოზარდა და მის ქვეშ გავლისას დედა-ბებია ჰაერის ღრმად ჩასუნთქვას რომ მაბარებდა ყოველთვის... იქნებ გამიმართლოს და ჩემთვის ქალღმერთებს, ჩემს მასწავლებლებსაც შევეფეთო აქ: გულნარა ხაბურძანიას, ვარა ფილიშვილს, მალუზა გოცირიძეს... ან ქუჩის ბოლოსკენ წამოვალ, სადაც ჭიჭიკო საბულუას უცნაურად ლამაზთაღებიანი და გუმბათებით გაწყობილი, კოხტა, პატარა სახლი დგას. „ჯაღვაშ ქვანქვა“-ს რომ მეძახდა და დღესაც რომ არ ვიცი, რას ნიშნავს, მაგრამ მაინც სითბოთი მავსებს და მახსენებს, მისი მოსკოვიდან ჩამოტანილი „პლისე“ ფორმით დამშვენებულ არა ერთ პირველ სექტემბერს... იქნებ ქუჩის შუაში იწყება ჩემი მოგონება, სადაც სახლის აივანზე თორიების დედის ულამაზესი სურათი შემანელებინებს ნაბიჯს, შემაჩერებს, მერე ისევ რომ გადავდგამ და იქვე, მზია ნაყოფიას წარბებაზიდული სურათიდან გადმოსული, მომნუსხველი მზერა გამაქვავებს: თუ მეორე მხარეს გადავიდე თორდიების ეზოსკენ, ჭატა დეიდა აუცილებლად შემაყოვნებს, ცის და ბარის ამბებს გამომკითხავს, ათას მოკითხვას დამაბარებს და გერსამიების ეზოს ბოლომდე გამომყვება, იქიდან კი დადიანებს გავუვლი და მამიდას ეზოში შევალ...

***

სიყვარული ეწვია მამიდას, მალევე დაინიშნა. „ფერი ფერს და მადლი ღმერთსო“, რომ იტყვიან, ისეთი წყვილი შეიყარა ერთად. ულამაზესი, წარმოსადეგი ვაჟკაცი ჩანდა სასიძო, მასაც ახალი დამთავრებული ჰქონდა უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. გამოცოცხლდა გეგიების ეზო, სიხარულით აივსო და ბედნიერებით დაიმუხტა ირგვლივ ყველაფერი. დაუზარებლად იკერებოდა ფარჩა და აბრეშუმი, უნაზესი ფერებით იქარგებოდა თეთრეულის კიდეები, ვერ აუდიოდნენ დაბრძენებული დეიდების მიერ ოჩამჩირიდან, მდუღარე ხელებით ეფერებოდა ქალიშვილის ტანში დავლილ ჟრუანტელს... მხოლოდ ორი კვირა რჩებოდა ნანატრ დღემდე... თოფის ხმამ და ქალის კივილმა შეძრა მძინარე ქალაქი... „ხაბუმ ბელას გამო თავი მოიკლა“ მოედო ქვეყანას... ლავასავით მოასკდა გამთენიისას გეგიების ჭიშკარს სულ სხვა ვაჟის გამწარებული ჭირისუფალი, ვიღაცამ მამიდას თითიდან ნიშნობის ბეჭედი წააგლიჯა და შეკრთა კიბის თავთან იასამანი, უხმოდ ატირდა... საქორწილოდ გამზადებული, ჩემი შველივით ლამაზი და დამფრთხალი მამიდა, მხოლოდ ერთხელ რომ ჰყავდა პირისპირ ნანახი, იმ კაცის ქვრივად გამოაცხადეს, უდანაშაულოდ დამნაშავის დაღი დაასვეს, შავებში ატარეს... აუკრძალეს გალის რაიონში გათხოვება, სასიძოს ეზოში კი ფანტელებივით იწყო მუქარის შემცველმა თეთრმა კონვერტებმა ცვენა და, მე არ მგონია, რომ იმ ბარათების საწერად მხოლოდ განსვენებულის ჭირისუფალი იცლიდა მაშინ...

გაცივდა და გაიყინა სამყარო... მერე ბევრჯერ მოელანდება ქალიშვილს მისი სატრფო სადღაც იქ, ქუჩის ბოლოში, ლანდად გაელვებული, ან სულაც ქალაქის საზღვარს გამცდარი და დაბნეული... ჩემი ფიქრი და კითხვა ამ ტრაგედიასთან მიმართებაში ყოველთვის თამარა მამას უტრიალებს გარშემო: როგორ მოხდა, რომ მან, ასე სამართლიანმა და მკაცრმა, თავის ერთადერთ ბელას, ვისზედაც ამოსდიოდა მზე და მთვარე და ისე გაზარდა, რომ ხელის გულიდან არ ჩამოუსვამს, ქვრივის ძაძები ჩააცვა?! რატომ დათმო მან და აუსრულა ეს ახირებული მოთხოვნა იმ გაუბედურებულ დედას, რომლის შვილმაც, ცხელ ტყვიას ჩახუტებულმა, სამარეში ჩაიტანა ბელას სიყვარული?! რატომ აგლოვინა შვილს უცნობი ადამიანი? ამაზე პასუხი დღემდე არა მაქვს, ეს თემა არასდროს განიხილებოდა სახლში, ტაბუ ჰქონდა დადებული...

ნანა ჯეჯელია

სოხუმიდან და გაგრიდან ჩამოტანილ საჩუქრებს, თავიანთი ხელით და დიდი ბაბუის — გიორგი გეგიას ნაქონი არშინით რომ ზომავდნენ ქაშიმირის და შალის ძვირფას ნაჭრებს და ჩემოდნებში ალაგებდნენ (მე მახსოვს ის საზომი, მაუდგადაკრულ საწერ მაგიდაზე რომ იდო, ქალაქში ერთერთი პირველი ტელეფონის, ნომრით 3-63-ს, გასწვრივ და ხელის ხლებაც აკრძალული გვქონდა ბავშვებს). შაბათობით ჩამოდიოდა თამარა მამას ნათესაობა სტუმრად. ასე მგონია, სამეზობლო თითის წვერებზე დგებოდა მათი პატივისცემის ნიშნად, იმსახურებდნენ ამ კეთილ განწყობას, არ იყო მოჩვენებითი მათი სიკარგე... არავის სტოვებდნენ თავზე ხელის წრიული შემოვლებისა და გულწრფელი „სქან გოლუაფრო მას“ (შენ შემოგევლეს) გარეშე. წლების მერე, დაკარგულ აფხაზეთში, მამიდას გასვენებაზე, მე ისევ გავიგონებ მათგან „სქან გოლუაფრო მას“, მაგრამ თავშეკავებასაც შევატყობ და ვერც თავზე წრიულად შემოვლებულ მარჯვენა ხელს მოვკრავ თვალს ვერსად...

სასიძოც დინჯად შემოაბიჯებდა ყოველ შაბათ საღამოს ეზოში, აივანზე სულ უფრო მეტად გაისმოდა დეიდების აჩქარებული საუბრები. სანთელივით ჩამოქნილი ჩემი თეთრი მამიდა ქორწილის მოლოდინში კიდევ უფრო კარგად ფერს და საღღაც ლივლივებდა ოცნებებში... სიყვარულით სავსე თვალებს მალულად მიანათებდა გულის სწორს და ვაჟიც ისე შემოხედავდა, თითქოს

***

ერთში ღრმად ვარ დარწმუნებული: მიუხედავად უმამობისა, შიში, ვიცი, რომ გამორიცხული იყო და რატომ მახსენდება ყოველთვის გულისტკივილით, როცა თამარა მამაზე ვფიქრობ: „იქნება ვეფხვის დედაი ჩემებრ დღედაღამ სტირისა/ წავიდე მეც იქ მივიდე, სამძიმარ ვუთხრა ჭირისა /ისიც მიამბობს ამბავსა, მეც ვუთხრა ჩემი შვილისა...“ ყველა სოფლის თუ ქალაქის მეხსიერებას გადაუვლის ძველი ამბების ქარიშხალი დრო და დრო... აურევს, დაურევს ხსოვნაში ჩალექილ ძველ ამბებს და ჩაწყნარდება ისევ... მხოლოდ, მამიდას მისამართით არასდროს გამიგია ვინმესგან თქმული საყვედური. ეს მისი ზნეობრივი სისუფთავის და კდემის სამადლობელია, ალბათ, გალელებისგან... დროის მდინარებას რა შეაჩერებს და ცხოვრება თავისი გზით წავიდა, მათ ძალიან კარგი ოჯახები შექმნეს. მამიდა ჯიუტად გალში გათხოვდა, სასიძომ კი სხვა რაიონიდან შეირთო ქალი. ორივეს ოჯახს მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ქალაქის ცხოვრებაში. თავისებურად ამშვენებდნენ და ამკობდნენ მას. სამსახურეობრივი ურთიერთობები ხშირად უწევდათ, სხვანაირად უკვე არასდროს გადაკვეთილა მათი გზები... შოთა (მამიდას მეუღლე) ძალიან კარგი ადამიანი იყო, ისიც იურისტი გახლდათ. აფხაზეთის ომის დროს სახლიდან გაიყვანეს და უგზო-უკვლოდ დაიკარგა, მამიდამ რკინის ქალამანი ჩაიცვა და გაცვითა კიდეც, მაგრამ მეუღლის კვალს ვერსად მიაგნო, ის კაცი კი უფრო ადრე გარდაიცვალა, მშვიდობიან პერიოდში. მანამდე კი, შოთას 50 წლის იუბილეზე ითამადებს. იმ დღეს რამდენიმეჯერ მომიწევს ღიმილით თანხმობის მიცემა კითხვაზე: „მამიდა, მიხდება ეს კაბა?“ რაღაც მომენტში თვალი ვკიდე: იასამნის ბუჩქთან იდგნენ და საუბრობდნენ... იქნებ სულაც არ იყო და მე მომეჩვენა — მამიდას თვალებში გაელვებული საყვედური და სინანული კაცის სახეზე: ორივენი კი ისევ ძალიან ლამაზები იყვნენ...

ქუთაისელმა გოგონებმა თურქეთის სტადიონები დალაშქრეს

უკვე წელიწადზე მეტია, რაც ქუთაისის მერიის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანება მჭიდროდ ეკონტაქტება თურქული შავიზღვისპირა ქალაქების უნიესა და რიზეს სპორტის სამსახურებს. შედეგად, ქუთაისელ სპორტსმენებს ხშირად იწვევენ მეზობელ ქვეყანაში, როგორც ამხანაგურ პაექრობებზე, ასევე სხვადასხვა რანგის ოფიციალურ ტურნირებზე. ცხადია, მასპინძლობა უწევთ ქუთაისელებსაც.

ახლახან, ქალაქის სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის ხელშეწყობით, რიზეში იმყოფებოდნენ მე-100 სასპორტო სკოლის ფეხბურთელ და კალათბურთელ გოგონათა გუნდები.

საფეხბურთო კლუბ „რიზესპორის“ ძველ არენასთან მდებარე ხელოვნურსაფარიან მოედანზე ქუთაისელებს, ფაქტობრივად, რიზეს გოგონათა ნაკრების წინააღმდეგ მოუწიათ თამაში. 4 თვის წინ ამავე სტადიონზე პაატა დოგრაშვილის შეგირდებმა 6:3 სძლიეს თურქებს და, რა გასაკვირია, რომ მასპინძლებს რევანში სწყუროდათ. ამხანაგურ, მაგრამ მეტად დაძაბულ თამაშს მაყურებელი საკმარისად ჰყავდა. ანგარიში სტუმრებმა გახსნეს. გოლი ლანა გორგაძემ მიითვალა. ამის შემდეგ რიზელები გააქტიურდნენ. მათ ჯერ ანგარიში გაათანაბრეს, მერე კი დაწინაურებაც მოახერხეს (11-მეტრიანიდან).

მე-2 ტაიმი კი სტუმართა სრული უპირატესობით მიმდინარეობდა, რაც ანგარიშშიც კარგად აისახა. თამთა შენგელიას, ანა მახარაძის (11-მეტრიანიდან) და ლანა გორგაძის გოლების წყალობით, ქუთაისელებმა საბოლოოდ 4:2 მოიგეს. ფეხბურთელი გოგონები თამაშის დღესვე გამოემგზავრნენ სამშობლოში.

სამაგიეროდ, რიზეში სტუმრობა გაუგრძელდათ კალათბურთელებს. ქალაქის კულტურის პარკში მდებარე სპორტული კომპლექსის ღია მოედანზე 6 დღეს გასტანა ცნობილი თურქი მწვრთნელის ირფან ქოქსალ იუბოღლუს ხსოვნისადმი მიძღვნილმა მე-5 ტურნირმა სტრითბოლში(ქუჩის კალათბურთში). შეჯიბრება ვაჟებში 3, ხოლო გოგონებში 2 ასაკობრივ ჯგუფში წარიმართა. მასპინძელთა გარდა, წარმომადგენლობითი დელეგაციებით გამოირჩნენ ტრაბზონი, გირესუნი, უნიე, პაზარი, ფაცა და სხვა ქალაქები. სულ საასპარეზოდ 40 გუნდი გამოვიდა.

ქუთაისის გუნდი სათამაშოდ უფროს ასაკში(1980-1999 წლებში დაბადებულთა) ჩაერთო და საწყის სტადიაზე, „ბ“ ჯგუფში მის მეტოქეებად რიზეს „უჩ არტი ბირი“, „მიმარ სინანი“ და გირესუნის „ჩოტანაკლარი“ დასახელდნენ. ჩვენებურებმა საუცხოოდ დაიწყეს. სასტარტო მატჩში მათ 15:2 აჯობეს „უჩ არტი ბირს“. მეორე მეტოქე გაცილებით გამოცდილი და ძლიერი აღმოჩნდა. ქუთაისელებს გირესუნელებთან თამაში არ წაუვიდათ და მარცხიც ლოგიკური იყო — 3:9. მე-3 შეხვედრა ჩვენმა გუნდმა არცთუ იოლად, მაგრამ დამაჯერებელი ანგარიშით — 8:4 მოიგო და ჯგუფში მე-2 ადგილზე გავიდა.

ამის შემდეგ ნახევარფინალური მატჩები ჩატარდა. ქუთაისელთა მეტოქე „ა“ ჯგუფის პირველადგილოსანი რიზეს „დიდილერკი“ გახლდათ. მძაფრი წინააღმდეგობის მიუხედავად, ჩვენმა გუნდმა შეძლო მეტოქის დამარცხება — 11:7 და ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა. მე-2 ნახევარფინალი გირესუნის „ჩოტანაკლარმა“ და რიზეს „ლეგენდებმა“ გაითამაშეს. გირესუნელთა უპირატესობა აშკარა იყო - 11:4. ასე რომ, ტურნირის გამარჯვებული „ბ“ ჯგუფის საუკეთესო გუნდების დავაში უნდა დასახელებულიყო.

ფინალების დღეს რიზეში კოკისპირულად წვიმდა,ორგანიზატორებიც იძულებულნი შეიქნენ, თამაშები სპორტის სასახლის დარბაზში გადაეტანათ. როგორც ვთქვით, ჯგუფურ ეტაპზე ქუთაისელები პირწმინდად დამარცხდნენ გირესუნელებთან, მაგრამ გადამწყვეტი თამაშისათვის სერიოზულად მოემზადნენ. ფინალი მართლაც რომ სანაქებო გამოდგა.ჩვენმა გოგონებმა ყური უგდეს თავიანთი მწვრთნელის თემურ ყუბანეიშვილის რჩევებს და მეტოქეს უშეღავათო ბრძოლა გაუმართეს. პირველი ქულა გირესუნელებმა მიითვალეს, თუმცა ამის შემდეგ ქუთაისელები დაწინაურდნენ და 21-წუთიანი თამაშის დასრულებამდე სამწუთნახევრით ადრე 11:7 იგებდნენ. საბოლოო გამარჯვებაც თითქოს ახლო იყო, მაგრამ რამდენიმე შეტევა და საჯარიმო გაცუდდა, ამასობაში გირესუნელებს მხსნელად მათი ლიდერი დილეკ ქალქალი მოევლინა. მან, ჯერ იყო და, ზედიზედ 2 შორეული სნაიპერული სროლით ანგარიში გაგვითანაბრა, სულ ბოლოს კი, მატჩის დასრულებამდე 4 წამით ადრე, ურთულესი მდგომარეობიდან, ისევ შორეული ტყორცნით გამარჯვება მოუტანა თავის გუნდს — 15:13. მაყურებლებმა აპლოდისმენტებით გააცილეს მოედნიდან როგორც გამარჯვებული, ისე დამარცხებული გუნდი.

ქუთაისელთა რიგებში თამაშობდნენ ნელი ჟორჟოლიანი, ხათუნა საჯაია, თამარ მანაგაძე, ქრისტინე ალანია.

ტურნირის და, მთლიანობაში, რიზეში გამართული სპორტული კვირეულის საზეიმო დახურვას კულტურის პარკში უამრავი ხალხი დაესწრო. წარმატებული გუნდების დაჯილდოების ცერემონიალში ქალაქის მთავრობა და სპონსორი ორგანიზაციების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. ქუთაისელებს სპეციალური თასი და მედლები გადაეცათ, ამასთან ისინი ფირმა „ადიდასის“ სპორტული ფეხსაცმლითაც დასაჩუქრდნენ.

აღსანიშნავია, რომ ქუთაისურ დელეგაციას გულთბილი შეხვედრა მოუწყო თვით რიზეს მთავრობის ხელმძღვანელმა ჰალილ ბაკირჩიმ. სწორედ ამ შეხვედრისას გამოითქვა ორ ქალაქს შორის კავშირების გაღრმავების სურვილი კულტურის,სპორტის, ეკონომიკის და სხვა სფეროებში.

აქედანვე ცნობილია, რომ ქუთაისელი კალათბურთელები მომავალ წელსაც ითამაშებენ ანალოგიურ ტურნირში. რაც შეეხება უახლოეს გეგმებს, სულ მალე, 26-27 სექტემბერს, ქუთაისში სათამაშოდ რიზელ ფეხბურთელ გოგონათა გუნდი ჩამოვა.

იუზა კაციტაძე,

რიზე, თურქეთი

(ავტორის ფოტოები)

ქუთაისისა და გირესუნის სტრითბოლელთა თამაშის მომენტი

ქუთაისელ ფეხბურთელ გოგონათა გუნდი

რიზელთა კარში ორი გოლის გამტანი ლანა გორგაძე

დაჯილდოების ცერემონიალი

შეხვედრა ქალაქ რიზეს თავთან

ძიუდოისტები მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ

ბრაზილიაში, ქალაქ რიო დე ჟანეიროში გამართულ ძიუდოს მსოფლიოს ჩემპიონატზე საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა.

ქართველმა ძიუდოისტებმა გუნდურ შეჯიბრში ყველა მეტოქეს სძლიეს, ფინალში კი, 0:2 ჩამორჩენის მიუხედავად, რუსეთის ეროვნული ნაკრები 3:2 დაამარცხეს და მსოფლიოს უძლიერესი გუნდის ტიტულს დაეუფლნენ.

მთავარი მწვრთნელის, **ირაკლი უზნაძის** ხელმძღვანელობით, საქართველოს ნაკრებმა ფინალის გზაზე სამი შეხვედრა ჩაატარა და სამივე დამაჯერებლად მოიგო. 1/8 ფინალში ქართველებმა საფრანგეთს სძლიეს, 1/4 ფინალში მონღოლეთს, ხოლო 1/2 ფინალში უზბეკეთს.

რუსეთთან ფინალურ შეხვედრაში ლაშა შავდათუაშვილისა და ზებედა რეხვიაშვილის მარცხის შემდეგ, საქართველო 0:2 აგებდა, თუმცა **ავთანდილ ჭრიკიშვილმა** და ვარლამ ლიპარტელიანმა თავიანთ შეხვედრებში იმარჯვეს და ანგარიში გაათანაბრეს — 2:2, გადამწყვეტი ორთაბრძოლა კი მძიმეწონოსანმა — **ადამ ოქრუაშვილმა** მსოფლიოსა და ევროპის მრავალგზის ჩემპიონ ალექსანდრ მიხაილინს მოუგო და ჯამში საქართველომ რუსეთი 3:2 დაამარცხა.

ბრინჯაოს მედლები იაპონიამ და უზბეკეთმა მოიპოვეს. მამაკაცების პარალელურად, მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი ქალებშიც გაიმართა. ტურნირი წაუგებლად იაპონიამ ჩაამთავრა, რომელმაც ფინალში ბრაზილია 3:2 დაამარცხა. მესამე საპრიზო ადგილები კი კუბამ და საფრანგეთმა დაიკავეს.

რაც შეეხება ინდივიდუალურ ჩემპიონატს, ქართველმა ძიუდოისტებმა მსოფლიო ჩემპიონატი 2 ვერცხლის მედლით დაასრულეს, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონები **ავთანდილ ჭრიკიშვილი (81 კგ)** და **ვარლამ ლიპარტელიანი (91 კგ)** გახდნენ.

psnews.ge

ხარაგაულში ლიტერატურული კონკურსი ჩატარდა

ხარაგაულის სახალხო ლიტერატურულმა თეატრმა (რეჟისორი და მსახიობი იზა ვეფხვაძე) ტრადიციული ლიტერატურული კონკურსი „ოდეონი“ უკვე მერვედ გამართა.

სოფელ ღორეშის 1937 წელს რეპრესირებულთა მუზეუმის ეზოში ჩატარებულ კონკურსში 19 შემოქმედი მონაწილეობდა: მწერალი მერაბ შათირიშვილი, გოგი ჯღამაძე, ჯამბულ გამცემლიძე, მამუკა ჭიპაშვილი, ზეინაბ ბუაჩიძე, თამაზ ორჯონიკიძე, თეონა კაკიაშვილი, შოთა გოლუბიანი, გიორგი მუხურაძე, დონარი ბერიძე, ზაირა ხაჩიძე, მაია სახოკია, დათო ჯიმშიაშვილი, ჟუჟუნა კალანდაძე, თამარ ჭყოიძე, თაკო ჩხიკვაძე, ნათია გიორგაძე, ანა ორჯონიკიძე: მერაბ მესხიშვილი. საკონკურსო თემა გახლდათ „ისევ...“ დაიწერა როგორც პოეტური, ასევე პროზაული ნაწარმოებები. კონკურსი დაიწყო დილის 10 საათზე და დასრულდა საღამოს 6 საათზე, მის მიმდინარეობას თვალს ადევნებდნენ ორგანიზატორები, დამკვირვებლები, ჟიურის წევრები, კონკურსს სტუმრობდნენ ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი ნოდარ ებანოიძე და დეპუტატის ბიუროს წევრები.

გამარჯვებულ კონკურსანტებს ჯილდოები გადაეცემათ.

psnews.ge

კვირის ჰოროსკოპი

ვერძი: თქვენთვის მთავარი პრობლემაა ფულის შოვნა. იფიქრეთ სტუმრად წასვლაზე ან საყვარელი ადამიანები შინ დაპატიჟეთ.

კურო: ენდეთ ინტუიციას და ბევრ საქმეს მარტივად და თქვენთვის სასარგებლოდ გადაწყვეტთ. ჰარმონიას მხოლოდ საკუთარ თავთან მიაღწევთ.

ტყუპები: სამსახურებრივ და ოჯახურ საქმეებს აქტიურ დასვენებასა და თავგადასავლებსაც ჩინებულად შეუხამებთ.

კირჩხიბი: ეცადეთ, წარმოქმნილ პრობლემებს იუმორით შეხედოთ და მარტივად გადაწყვიტოთ. ოჯახური ფასეულობები წინ წამოსწიეთ. საყვარელ ადამიანთან იდეალურ ურთიერთობას შეინარჩუნებთ.

ლომი: ეს კვირა კარგია როგორც გონებრივი, ისე ფიზიკური მუშაობისთვის. თქვენი კომუნიკაბელურობა გამოიყენეთ მეგობრებთან და ახლო ადამიანებთან შეხვედრისათვის. უფრო მეტი ყურადღება მიაქციეთ ბავშვებს.

ქალწული: საშუალება მოგეცემათ თავი საუკეთესო კუთხით წარმოაჩინოთ. გახსოვდეთ, კარიერა ყველაზე მნიშვნელოვანია. იფრთხილეთ, თქვენი მოტყუების ალბათობა დიდია.

სასწორი: წარმატება გელით როგორც საქმიან, ასევე პირად ცხოვრებაში, საქმიანი მოლაპარაკებები თქვენთვის სასურველი შედეგით დასრულდება. სასიყვარულო თავგადასავლები სასიამოვნო ემოციებს მოგანიჭებთ.

მორიელი: თქვენ დაამყარებთ ახალ საქმიან კავშირებს, ამ კავშირებიდან ზოგი თქვენთვის სახარბიელოდ წარიმართება და ზოგი მეგობრობაში გადაიზრდება. აჩვენეთ საკუთარი თავი საუკეთესო მხრიდან.

მშვილდოსანი: დამშვიდდით, ოჯახურ პრობლემებს მიხედეთ. ეს კვირა შესანიშნავად ჩაივლის. წინ სიყვარულით, შემოქმედებითა და დასვენებით ტკბობა გელით.

თხის რქა: მოგიწევთ ურთიერთობა ისეთ ხალხთან, რომლებსაც მედიცინასთან აქვთ კავშირი. ფინანსური ოპერაციები წარმატებას მოგიტანთ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ფული გაფლანგოთ.

მერწყული: ნებისმიერ საქმეს მიუდგებით ვალდებულების მიზნით, რითაც ვერ მიიღებთ სიამოვნებას. თქვენ ხართ ის ადამიანი, რომელიც ყოველთვის არის კარგი მოსაუბრე და კარგი მეგობარი.

თევზები: დაუფიქრებელი ნაბიჯი შემდგომში სანანებელი გაგიხდებათ, ამიტომ ყოველი თქვენი ნაბიჯი კარგად გათვალეთ და ისე იმოქმედეთ.

სამზარეულო

სწრაფი პიცა საფუარის გარეშე

ეს არის ცომი, რომელიც მარტივად მზადდება და ლოდინი არ სჭირდება.

ჯამში მოათავსეთ: 2 ჭიქა ფქვილი, 1/2 ჩაის კოვზი გამაფხვიერებელი, 1/3 ჩაის კოვზი მარილი, 3 სუფრის კოვზი ზეთი, 1 ჭიქა თბილი წყალი, მოზილეთ.

მარტივია აწყობაც — ცომს გადაუსვით ტომატის პასტა (უხდება დაბლენდერებული ცოცხალი პომიდორი), დაჭრილი ბულგარული, ზეთისხილი, ხახვი, ნიორი და კუბებად დაჭრილი ჭყინტი ყველი. პიცის არომატია — ზედ მოფქვეული ორეანო და ბაზილიკი. ცხვება მაღალ ტემპერატურაზე და უცებ.

kulinari.ge

მჯდომარე სამუშაოს პრობლემები

ბევრ ადამიანს უწევს სამუშაო დღის კომპიუტერთან გატარება, რის შემდეგაც უმძიმდება, ზოგჯერ ფეხები უშუპდება, ჩნდება კაპილარული სისხლჩაქცევები. პრობლემას დროულად უნდა ყურადღების მიქცევა, რათა არ გართულდეს.

სისხლძარღვების მეშვეობით სისხლი სხეულის ყველა უბანს მიეწოდება. განსაკუთრებით დაძაბულად მუშაობენ ფეხის ვენები, რომლებშიც

ყველაზე ხშირად ირღვევა სისხლის მიმოქცევა და ფერხდება დენა,

მაგრამ ამის თავიდან აცილება შესაძლებელია. ნორმალური და სწორი სისხლის მიმოქცევისას ვენები ისე მუშაობენ, როგორც ერთი მიმართულებით მოძრავი ესკალატორი. სისხლძარღვებში არსებული სარქვლები გამომუშავებულ სისხლს არ აძლევენ საპირისპირო მიმართულებით მოძრაობის საშუალებას. ვენების გაფართოების შემთხვევაში სარქვლები არც ისე საიმედოდ უღობავენ გზას საწინააღმდეგო ნაკადს. შესუსტებულ უბნებში სისხლი გუბდება და წარმოქმნის კვანძებს. ყველაზე უსიამოვნო ის არის, რომ საკმაოდ დიდხანს თავს გრძნობთ აბსოლუტურად ჯანმრთელად, დაავადება შეუმჩნევლად გეპარებათ, თრომბი კი, შესაძლოა, ნებისმიერი ანთების დროს მოწყდეს და საფრთხე შეუქმნას ჯანმრთელობას.

ფეხი ფეხზე

ვარიკოზული დაავადებები ერთნაირად ემუქრება მამაკაცებსა და ქალებს, მაგრამ ვინაიდან ქალის სისხლძარღვებს უფრო სუსტი შემაერთებელ ქსოვილოვანი კარკასი აქვთ, ეს სნეულება მათ უფრო ხშირად ემართებათ. ორსულობა, ჩასახვის საწინააღმდეგო აბები და მოძრაობის შეზღუდვა ხელს უწყობს ვარიკოზის განვითარებას. პირველი „მოლურჯო ვარსკვლავები" თავს იჩენს მშობიარობის შემდეგ, თანდათან „გველებად" იქცევა და ფეხებს შემოეხვევა. ვენებში სისხლი იწყებს შეფერხებას, შეგუბებას. ვენები განსაკუთრებით იჭიმება მაშინ, როცა ფეხიფეხგადადებული ზიხართ, ასე რომ, დიდხანს ასეთ პოზაში ნუ დარჩებით.

ცივი შხაპი

ვარიკოზი უბრალო კოსმეტიკური დეფექტი არ არის, ეს დაავადებაა, რომელიც აზიანებს ყველა ორგანოსა და სისტემას. უბრალოდ, ფეხებზე ის უფრო შესამჩნევია. მემკვიდრეობა ვარიკოზის ერთ-ერთი მიზეზია. თუ თქვენს მშობლებს სუსტი ვენები აქვთ, თქვენ რისკის ჯგუფში ხართ. გენეტიკა რთული მეცნიერებაა, მაგრამ გენეტიკური განწყობის შემთხვევაშიც კი თავის დაზღვევა შესაძლებელია. დაიწყეთ დატვირთვების კონტროლი და გადადით დაბალ ქუსლებზე. ხანგრძლივი ფრენისას ან მატარებლით მგზავრობისას ხშირად წამოდექით, გაიარ-გამოიარეთ სალონში. თუ დიდხანს დგახართ, აიწიეთ ფეხის წვერებზე. ყურადღება მიაქციეთ, რომ ზედმეტი წონა ფეხებისთვის ტვირთად არ იქცეს. დაივიწყეთ ლიფტი, ისარგებლეთ კიბით. თავი არიდეთ გადახურებას: ცხელ აბაზანას, გარუჯვას და საუნას — ისინი მავნებელია თქვენი ვენებისთვის. გადაივლეთ ფეხებზე ცივი შხაპი. მიმართეთ წყლის ნაკადი ტერფებიდან ზემოთ, წოლისას ფეხები ოდნავ შემაღლებულზე დააწყვეთ. იარეთ ცურვაზე, სასარგებლოა სპორტი და ველოსიპედით სიარული.

ფლებოლოგთან

ვარიკოზის აღმოფხვრა შეუძლია ექიმს, რომელიც სპეციალიზებულია ვენების მკურნალობაში — ფლებოლოგს (სისხლძარღვთა ქირურგს). მიმართეთ მას, თუ შეამჩნევთ ფეხების სიმძიმეს და შეშუპებას, დაღლილობას (განსაკუთრებით საღამოობით), ტკივილს და კრუნჩხვით შეგრძნებებს.

კანზე ბადეებისა და მოწითალო-მოლურჯო ლაქების გაჩენა საკმაო საბაბია ექიმთან ვიზიტისთვის. დიაგნოსტიკის თანამედროვე მეთოდები საშუალებას იძლევა, დაავადება ადრევე გამოვლინდეს. იმის მიხედვით, რომელ სტადიაზეა ვარიკოზი, ექიმი შემოგთავაზებთ მკურნალობის ოპტიმალურ ვარიანტს. არსებობს თერაპიული მეთოდი: ვენაში შეჰყავთ ნივთიერება, რომელიც იწვევს სისხლძარღვთა კედლების შეწებებას. ამ დროს თვით ვენის ამოღება არ ხდება, მაგრამ სისხლის ნაკადის გავლა ამ უბანში წყდება. მიუხედავად იმისა, რომ მეთოდი საკმაოდ მარტივია, შეზღუდვები მაინც არსებობს. თუ გაფართოებული ვენების ქირურგიული ამოკვეთა გახდა საჭირო, ეს კეთდება კანზე გაკეთებული მცირე ზომის განაკვეთიდან, თუმცა ამ მეთოდს აქვს თავისი დამატებითი და უარყოფითი მხარეები, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა ოპერაციას. გარდა ამისა, უნდა ითქვას, რომ დაავადების მიზეზს ის ვერ სპობს. როგორც ვენების „შეწებების" მეთოდს, ისე ქირურგიულ მკურნალობას ვენური სისხლის ნაკადის დატვირთვა ზედაპირულიდან უფრო ღრმა ვენებისკენ გადააქვს. ოპერაციის შემდეგ, ასევე უბრალოდ პროფილაქტიკისთვის სასურველია ატაროთ სპეციალური კომპრესიული თეთრეული (გოლფები, წინდები, კოლგოტები). ექიმი-ფლებოლოგი შეგირჩევთ თქვენთვის შესატყვისი კომპრესიის კლასს.

psnews.ge



შეადგინა ალეკო ნემსაძემ

რჩევა

როგორ დავიკლოთ წონაში ჩვეულებრივი წყლის მეშვეობით?

ჩვეულებრივი წყლის სწორად მიღება წონაში დაკლებასა და სხეულის მასის დარეგულირებაში დაგეხმარებათ. ამ ინფორმაციას პოპულარული ტელეშოუს „მარტოხელას სამზარეულოს" წამყვანი ფიტნეს ინსტრუქტორი ალექსანდრე რუდნიცკი ავრცელებს.

რუდნიცკი აღნიშნავს, რომ აუცილებელია სუფთა არაგაზირებული და არამინერალიზებული წყალი, რამდენადაც ჩაის და ყავასაც კი ადამიანის ორგანიზმი იღებს ისე როგორც საკვებს. ფიტნეს ინსტრუქტორის აზრით, ორგანიზმი საჭიროებს წყალს და მხოლოდ წყლის დახმარებით ახდენს თვითგაწმენდას. იმისთვის, რომ დავდგინოთ რამდენიმე მილილიტრი წყალია აუცილებელი ადამიანისთვის დღის განმავლობაში, მისი წონა უნდა გავამრავლოთ 30 მილილიტრზე. მაგალითად თუ ადამიანი 100კგ-ს იწონის, დღის მანძილზე მისთვის აუცილებელია 3 ლიტრი სუფთა წყალი.

droni.ge

ვინ არის ფოტოზე?

ირაკლი ღარიბაშვილი

რას დაარქმევდით?

დაგვიკავშირდით:
- (0 431) 24-45-46, 24-82-25.
- psnews27@gmail.com

კროსვორდი



თარაზულად: 3. ვაზის ნაყოფი. 5. სპორტის სახეობა. 6. ფრანგ მეფეთა სახელი. 8. კორდილიერების უმაღლესი მწვერვალი ... კინლი. 9. ქალაქი ნავსადგური იტალიაში. 11. აფრა.

შვეულად: 1. ოგივეა, რაც ბატკანი. 2. სატურნის თანამგზავრი პლანეტა. 3. ლაკლაკისნაირთა რიგის ფრინველი. 4. კუნძული კურილის ჯგუფში. 7. მწერალი ... გოთუა. 10. ენადაბმული ადამინი.